სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

N15 (9302) 31 მაისი. 2019 წელი ფასი 50 თეთრი

3

26 მაისს 101-ე!

ვამჭვირვალე ვითარება პროლი

 პოეტ ირმა ქურასბედიანის საიუბილეოდ

6

ეს ესსეებრეს შეშფოთების საბაბი?

2

თქვენ როგორ ფიქრობთ?

ჭურთავასთან არის სკოლა _ ულამაზესი ბოლო ზარი მეთერთმეტე სკოლაში

8

შეჩერდი წამო, შენ მშვენიერი ხარ!

9

არ არსებობს შეშფოთების საბაბი?

ლევან გაბეჩავა

გაუფასურებულ-გაუკულმართებულმა ეროვნულმა ვალუტამ რომ თავსატეხი გაუჩინა ხალხს, სადავო არ უნდა იყოს.

ამ დღეებში ლარი კვლავ გაუფასურდა და 28 მაისის მონაცემებით დოლართან მიმართებაში მისი კურსი ასეთია 1$=2,78 ლარს!

საოცარი და საკვირველი ამ დროს ისაა, რომ ნაცვლად იმისა, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას ეროვნული ვალუტის რამდენადმე მაინც გასამყარებლად, პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარე 22 მაისის სისხამ დილით "გვანუგეშებს და გვმოძღვრავს", რომ ეკონომიკური გუნდი შეშფოთების საბაბს ამ ეტაპზე ვერ ხედავს!

საინტერესოა, როდის იარსებებს შეშფოთებისა და მოქმედების დაწყების საბაბი?

უახლეს ისტორიას შეგახსენებთ, 1918-21 წლებში, დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მიერ მოჭრილი ქართული ფული კონკურენციას უწევდა სხვა სახელმწიფოების ფულად ნიშანს მსყიდველობითი უნარით, კურსით, ამჟამად კი?

როგორც იტყვიან, კომენტარი ასეთ შემთხვევაში ზედმეტია და მაინც, ცინიზმის შემცველი ხომ არაა მსგავსი განცხადებები?

P.S. ამ დღეებში ცენტრალურმა მედიამ "გვანუგეშა", რომ უახლოეს ხანში იგეგმება გაყინულ ხორცპროდუქტებზე ფასების ზრდა???

დანერგე მომავალი ეს სიახლეა!

საქართველოს მთავრობა რიგ ღონისძიებებს ახორციელებს, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს მოსახლეობას, დაინტერესებულ პირებსა და ფერმერებს სხვადასხვა კულტურის მოყვანის საქმეში, რაც არა მარტო თითოეული ოჯახის, არამედ, სახელმწიფოს ეკონომიკურ სტაბილურობაზეც მოახდენს კეთილმყოფელ გავლენას.

პროექტში "დანერგე მომავალი" კენკროვანი კულტურების დაფინანსების ის ქვეკომპონენტი ამოქმედდა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ჟოლოს, უეკლო მაყვლისა და ლურჯი მოცვის მოყვანა-წარმოებას.

მაჟორიტარი დეპუტატის, პარლამენტში სამტრედიელთა წარმომადგენლის, გრიგოლ მიქელაძის ძალისხმევით, პროექტში (ქვეკომპონენტი) სამტრედიის მუნიციპალიტეტიც ჩაერთო.

"ჟოლოს, უეკლო მაყვლისა და ლურჯი მოცვის გაშენება, მოვლა-მოყვანა სიძნელეებთან სულაც არაა დაკავშირებული, მით უფრო, რომ სახელმწიფო შესაბამისი პროგრამის ფარგლებში მხარში უდგას დაინტერესებულთ, რაც მთავარია, კენკროვანებზე დიდი მოთხოვნილებაა ბაზარზე". _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელმა მამუკა კვანტალიანმა.

დაინტერესებულ პირებს კონკრეტული ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში.

ლევან გაბეჩავა

თქვენ როგორ ფიქრობთ?

ერთ დროს, არცთუ შორეულ წარსულში ეს ქუჩა და კონკრეტულად ეს ადგილი ერთობ გადატვირთული იყო სამტრედიელებითა და ქალაქში სტუმრად ჩამოსულებით, რატომ?

აქ, ამ ქუჩაზე ფუნქციონირებდა სამტრედიის ცენტრალური აფთიაქი და კინოთეატრი "რუსთაველი", საუბარი გენო გეგეშიძის ამჟამინდელ ქუჩაზეა. აქ, როგორც "ნაშთი ძველი დიდებისა", დღესაც დგას კინოთეატრის შენობა, მაგრამ ვაი, ასეთ ყოფნას, ასეთ დგომას. საქმე ამჯერად არა აფთიაქისა და კინოთეატრის, არამედ მათ შორის არსებულ მიწის არცთუ დიდ ფართობზე გამეფებულ საშინელ ანტისანიტარიას ეხება.

სარეველა ბალახების გაუვალი ტყე, სახელდახელოდ "გახსნილი" ტუალეტი. ფეკალიები ჰირდაპირ ღია ცის ქვეშ, უამრავი მწერი ეხვევა იქაურობას, ერთი სიტყვით, ქალაქის ამ ნაწილში უსაშინლესი ვითარებაა.

დავინტერესდით და დაგვარწმუნეს, რომ ამ ეულად შთენილ ადგილს სახელდახელო ტუალეტად ბანკში პენსიის მომლოდინეთა ერთი ნაწილი იყენებს (თურმე), ისინი, საათობით რომ ელიან საკუთარ რიგს.

წლების წინ ქალაქში საზოგადოებრივი ტუალეტების აუცილებლობაზე რომ გავაკეთეთ წერილი, ერთმა კეთილისმყოფელმა მითხრა ღიმილით, მართლა ევროპაში ხომ არ გგონია თავიო?

ამ შემთხვევაში ევროპელობა და აზიელობა არაფერ შუაშია, ბუნებრივი მოთხოვნილება ერთნაირად აქვთ როგორც ევროპელებს, ისე აზიელებს. კულტურაშია განსხვავება მხოლოდ!

თუმცა, ორი მხარე აქვს მედალს, რა ჰქნან პენსიებს საათობით მომლოდინე ხანდაზმულებმა ან დაავადებულმა პირებმა?

ვფიქრობთ, ბანკებმაც მეტად მორგებული სერვისი უნდა შესთავაზონ ხალხს. იქამდე არ უნდა მივიყვანოთ ხალხი, კუთვნილი პენსიის ასაღებად, საათობით მომლოდინეებმა ღია ცის ქვეშ ქუჩაში მოისაქმონ.

ქალაქში, ზაფხულის ხვატის მიუხედავად, ფანტანები ბევრგან, მათ შორის მომავლის პარკშიც ხახაგამშრალია, სადაც არის, იქ სახელდახელო "ტბა" დგას და ძნელია მიუახლოვდე ფანტანს.

ვაღიარებთ, მართალია კუნთმაგრებმა და ჭკუათხელებმა აქა-იქ მოამტვრიეს ფანტანები, მაგრამ, როგორც ამბობენ, "მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია".

ზაფხულში ჩვენს ქალაქს, რომელიც ბოლო დროს ნამდვილად გალამაზდა და კეთილმოეწყო, ბევრი სტუმარი ეწვევა. ამდენად, ჩვენი აზრით, როგორც საზოგადოებრივი ტუალეტების, ისე ფანტანების ნორმალური ფუნქციონირებაც აუცილებელია.

ასე ვფიქრობთ ჩვენ, თქვენ?

ლევან გაბეჩავა

26 მაისს 101-ე!

თეა ბაბუნაშვილი

დამოუკიდებლობის 101-ე 26 მაისი გაუთენდა საქართველოს! საბჭოთა მარწუხებიდან დამოუკიდებლობააღდგენილი, ამჯერადაც ქვეყნის საშინაო და საგარეო ფრონტზე გარკვეული დაძაბულობის ფონზე შეხვდა ქვეყნის მთავარ დღესასწაულს. ვინ დედაქალაქში და ვინ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის "დასაცავად" შემართული, და კიდევ, ვინ ხელფასის მოსამატებლად პირამოკერილი აღნიშნავდა ქართულ დამოუკიდებლობას. ასეთი გახლდათ 101-ედ მოზეიმე დამოუკიდებლობის რეალობა. და რადგან დღევანდელი დღისთვის გუშინდელი შედარებით უმნიშვნელო, თუმცა, ჯერ ისევ აქტუალურია, საოცდაექვსმაისოდ მათ მხოლოდ კრებითი სახელით პრობლემები, მოხსენიებას დავჯერდეთ და სადღესასწაულოდ ყველა მათვანის ღირსეულად მოგვარება კეთილ სურვილად და ასახდენ ოცნებად ვუსურვოთ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას. და ერთიც, ღვთისმშობლის წილხვედრობა მხოლოდ დღესასწაულად არ დარჩენოდეს ქართველ ერს, მისი მნიშვნელობაც გაესივრძეგანებიოს!

დედაქალაქთან ერთად ქვეყნის ყველა, დიდსა თუ პატარა ქალაქში აღინიშნა 26 მაისი. სამტრედია საზეიმოდ დატვირთული ღონისძიებებით შეხვდა მაისის 26 -სს. "უკვე საუკუნეს გადააბიჯა საქართველოს დამოუკიდებლობის აღნიშვნის ტრადიციამ. 1918 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის შემდეგ 101-ე წელი დადგა. მართალია, მაშინ დიდხანს ვერ გასტანა ამ დამოუკიდებლობამ, მაგრამ მე-20 საუკუნის მიწურულს აღდგენილი დამოუკიდებლობა ქართველი ერისთვის უდიდესი სახელმწიფოებრივი მოვლენა გახლავთ. უნდა გვახსოვდეს და იმედია, მომავალი თაობა დიდი რუდუნებით შეინახავს ამ დღის მნიშვნელობას, საკუთარი შრომის და სულისკვეთებით კიდევ უფრო ღირსეულს გახდის ქვეყანას. ვულოცავ საქართველოს ყველა მოქალაქეს, ყველა ქართველს. უკეთეს საქართველოში გვეცხოვროს!" _ ასეთი გახლდათ იმ დღეს მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიანე ფოცხვერიას სურვილები და პათოსი.

სამტრედიელი ჩოხოსნების გამოჩენამ განსაკუთრებულად დამუხტა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსანიშნავად გამართული ღონისძიება. თუმცა აქვე ისიც, რომ საზოგადოების სიმცირე ძალიან, და კიდევ ერთხელ, ძალიან თვალშისაცემი გახლდათ!

მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის და მისი ხელმძღვანელის, ნატალია მანჯგალაძის მიერ ორგანიზებული სადღესასწაულო დღის განრიგი, ადგილობრივი საკრებულოს შენობის წინ ფოტოკონკურსის "სამტრედია _ ქალაქი და ადამიანები" გამარჯვებულების გამოვლენით დაიწყო. გამოფენილი ფოტოები ხმის მიცემის რეჟიმით იქვე შეაფასა დამთვალიერებელმა და მათი ხმების საფუძველზე ჟიურიმ ორი გამარჯვებული გამოავლინა _ თედო კრავეიშვილი და ლუკა ტულუში. ჟიურის რჩეული ნათია კაცაძის ფოტო გახდა, ფეისბუქგამარჯვებული კი ლუკა კიკაჩეიშვილი. გამარჯვებულები ფულადი ჯილდოებით დაჯილდოვდნენ.

ადგილობრივი მხატვრების ფერწერული ტილოების გამოფენა მსგავსი სახალხო დღესასწაულების განუყოფელი ნაწილია და არც ამ დღეს უღალატეს ტრადიციას სამტრედიელმა მხატვრებმა. მუნიციპალიტეტის სამხატვრო გალერეაში დაცული ნამუშევრები ნაძვების ჩრდილში გამოიფინა.

მომავლის პარკში დოლ-ზურნის ხმა ჩვეულ აზარტს სძენდა სპორტის ეროვნულ სახეობაში, ქართულ ჭიდაობაში გამართულ შეჯიბრს. მკლავის ძალა ადგილობრივმა წარმატებულმა სპორტსმენებმა გამოსცადეს. იმ დღის ფალავანი გოჩა ზაქრაძე გახდა, რომელსაც ჭედილა აჩუქა მუნიციპალიტეტის მერიამ. ფულადი საჩუქრები გადაეცათ სხვა საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებსაც.

მართალია, ის ღრუბლიანი დღე გაზაფხულის თავსხმათი გააწვიმა მაისმა, მაგრამ დოღი ბაშსა და ილორში ტრადიციულად გაიმართა. ბაშში ადგილობრივები შეეჯიბრნენ ერთმანეთს. საკუთარი გამარჯვება გია კიკვაძის ხსოვნას მიუძღვნა იმ დღის გმირმა. ახალგაზრდა კაცი გარდაიცვალა და გაუხარდებოდა, ჩემი ცხენი მისი ცხენის კვიციაო _ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი. ილორში კი, იპოდრომზე, ახმეტის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ბათუმისა და სამტრედიის წარმომადგენლები დოღსა და ისინდში შეერკინნენ ერთმანეთს. გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

კონცერტი ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით იმ დღის ბოლო აკორდი გახლდათ.

და რადგან ასეთი სანახაობებისას სიტყვებზე უფრო მეტყველი საზეიმო დღის ამსახველი ფოტოებია, 26 მაისის ამსახველ ფოტოკოლაჟს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ისტორიის შემოსანახად გთავაზობთ.

მოდიოდა ნინო მთებით...

"რჯულის მოძღვრები და მქადაგებლები არასოდეს არ ჰკლებია საქართველოს, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ის ვერ შესძლო, რაც ერთმა სუსტმა ქალმა, განმანათლებელმა ნინომ". _ წერდა აკაკი წერეთელი.

"ანგელოზის წირვა დგება,/ როცა დაჭრავს ნინო ზარსა,/ მცხეთის ქალაქს მირონი დულს,/ ირგვლივ გააქვს ნიავქარსა,/ ვარს გუმბათსა, სვეტს ეხვევა,/ როგორც ნორჩი ვაზი სარსა,/ იმის მადლი შეეწიოთ,/ რაც იქ წირვა-ლოცვა დგასა."

ხალხური

ახალი სტილით 27 იანვარსა და 1 ივნისს აღნიშნავს ეკლესია ნინოობას.

წმინდა ნინო განსაკუთრებული პატივით სარგებლობს ქართველ ქრისტიანთა (და არა მარტო) შორის. მოციქულთა სწორ, ქართველთა განმანათლებელ ასულს უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს გაქრისტიანების საქმეში.

...

"ქალწული ვაზის ნასხლავს თავისი თმებით შეკრავს. თითქოს ჭრილობა შეუხვია ნასხლავს, რომელიც იცრემლება.

ჯვარი _ ქალის თმებით შეკრული, მიჩვენეთ სხვა სახე _ უფრო მწველი და უფრო ლამაზი!

ჯვარი _ ვაზის ნასხლავისგან გამოჭრილი.

ჯვარი _ ქალის თმებით. ქალის თმები ხომ სახეა:

ქალობის _ ქალწულობის _ დედობის."

წერდა გრიგოლ რობაქიძე

წმინდა ნინო 338 წლის 27 იანვარს აღესრულა ბოდბეში (სიღნაღის მუნიციპალიტეტი. ლ.გ.).

წმინდანისადმი განსაკუთრებით უშვილონი და ყოველგვარი სნეულებით შეპყრობილნი ლოცულობენ და წმინდანიც მხსნელად, მეოხად ევლინება მხურვალედ მავედრებელთ.

წმინდა ნინო შეეწიოს ქართველებსა და საქართველოს.

ნინოობას გილოცავთ!

ლევან გაბეჩავა

ბავშვთა დაცვის დღეს გილოცავთ, ბავშვებო!

ლევან გაბეჩავა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ყოველი წლის 1 ივნისს მსოფლიო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ჩვენი პლანეტის ნორჩ მოქალაქეებს კანონიც იცავს. ბავშვთა უფლებების კონვენციაა ამისი მყარი და მტკიცე გარანტი.

სამწუხაროა, თუმცა რეალობა, რომ რიგ ქვეყნებში ამჟამადაც ირღვევა ბავშვთა უფლებები. ორმაგად სამწუხაროა სარწმუნო სტატისტიკა იმის შესახებ, რომ საქართველოში 16 000-მდე ბავშვი ყოფილა მოკლებული ნორმალურ საარსებო პირობებს.

არ უნდა იყოს საჭირო საერთაშორისო კონვენციები საიმისოდ, მომავალ თაობაზე რომ უნდა ვიზრუნოთ, შეუძლებელიც კი რომ უნდა შევძლოთ მათი კეთილდღეობისთვის, უკეთესი ყოფითი პირობების შექმნისათვის.

ერთობ დამაფიქრებელი სტატისტიკის პარალელურად უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ყურადღებით ეკიდება ყველა იმ პრობლემის მოგვარებას, სკოლამდელი ასაკის და საერთოდ ბავშვებს რომ უკავშირდება, თუმცა, როგორც ჩანს, კიდევ მეტია საჭირო.

უნდა ითქვას, რომ საერთო საქვეყნო პრობლემები ბავშვების ყოველდღიურობაზეც ახდენს გავლენას. ფაქტია, რეალობაა, რომ ასობით ბავშვი დედის სითბოს, ალერსს, ოჯახურ იდილიასაა მოკლებული, რამეთუ დედები საზღვარგარეთ არიან სამუშაოდ გადახვეწილნი.

სწორედ ამ მომენტში, ასეთ ვითარებაშია საჭირო საზოგადოების ყველა ფენის კონსოლიდაცია, რათა, თუნდაც, ერთი მოზარდის ცხოვრება არ გამრუდდეს.

გვჯერა და ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ უფრო რთული ვითარებაც დაგვიძლევია ქართველებს და ამჯერადაც ასე იქნება.

"უდიდესი სიყვარულით, პატივით მინდა ნინოობა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მივულოცო ბავშვებს, ჩვენი ცხოვრების ხვალინდელ დღეს, მომავალს. ყოველგვარი სიკეთე, კეთილდღეობა, სიხარული მინდა ვუსურვო მათ, სრულიად საქართველოს". _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბატონმა ნუგზარ ჯამბურიამ,** რომელსაც ბავშვებთან, მოსწავლეებთან ნაყოფიერი მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

"მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში 1245 აღსაზრდელია, როგორც დედა საკუთარ შვილებს, ისე ვულოცავ ბავშვებს 1-ლ ივნისს, ყოველგვარ სიკეთესა და სიხარულს ვუსურვებ მათ". _ გვითხრა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა, ქალბატონმა **ზათუნა გაგუამ**.

უღრუბლო ცა, ბედნიერი ბავშვობა ჩვენს პატარებს, პლანეტის ნორჩ ბინადართ!

6 ივნისს ამაღლებაა, გილოცავთ!

ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ერთ-ერთი გამორჩეული საეკლესიო დღესასწაულია, აქედან გამომდინარე მას დიდი ზეიმითა და კრძალვით აღნიშნავენ.

აღდგომიდან მეორმოცე დღეს, მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე უკანასკნელად გამოეცხადა თავის მოსწავლეებს და უთხრა მათ, რომ იერუსალიმიდან არსად წასულიყვნენ, რადგან მალე მასზე სულიწმინდა გადმოვიდოდა.

ამის შემდგომ ქრისტემ ისინი ელეონის მთაზე წაიყვანა. აქ ქრისტე მოწაფეებს გამოეთხოვა და დაიწყო ზეცად ამაღლება.

ცას შეჰყურებდნენ მოწაფეები, როცა ანგელოზები გამოეცხადათ და აუწყა მათ, რომ ზეცად უფლის ამაღლების მხილველნი, უფლის ხელმეორედ მოსვლასაც იხილავდნენ თავის დროზე.

შესაბამისი ღვთისმსახურება აღევლინება ყველა მოქმედ ტაძარში ამაღლებას.

ლევან გაბეჩავა

ევროპის ცენტრების კვირეული სამტრედიაში

ნინო ნანიტაშვილი

17-24 მაისს ევროპაში აივ ინფექციასა და ჰეპატიტებზე ტესტირების კვირეული აღინიშნება. ტესტირების კვირეულის ფარგლებში მთელ ევროპაში სამოქალაქო საზოგადოება, ჯანდაცვის ორგანიზაციები, სამედიცინო პერსონალი, პოლიტიკის მესვეურები ერთიანდებიან და მიმართავენ თავის ძალისხმევას იმისთვის, რომ, რაც შეიძლება, მეტმა ადამიანმა შეიტყოს საკუთარი აივ და ჰეპატიტების სტატუსის შესახებ. ეს ინიციატივა 2013 წლიდან დაიწყო და ყოველწლიურად ამ კამპანიაში ასობით ორგანიზაცია მონაწილეობს. ევროპული ტესტირების კვირეულს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელიც უერთდება.

აღნიშნული კვირეულის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალი გზა" სამტრედიის ცენტრმა მობილური ამბულატორიის მეშვეობით ჩაატარა ზოგად პოპულაციაში უფასო ტესტირება აივ ინფექციასა და ჰეპატიტებზე.

ეს იყო პირველი კვირეული, რაშიც არასამთავრობო ორგანიზაციამ "ახალი გზა" სამტრედიის ცენტრმა მონაწილეობა მიიღო: 23 მაისს სამტრედიის ქალაქის ცენტრში მობილური ამბულატორიის საშუალებით მათ უფასო ტესტირება გაკეთეს C ჰეპატიტზე. ზოგადად კი კვირეულის ფარგლებში, 17-24 მაისს "ახალი გზა" სამტრედიის ცენტრი ჭავჭავაძის 52 ნომერში იღებდა ბენეფიციარებს უფასო ტესტირებაზე.

ნანა კოხრეიძე, სამტრედიის ცენტრის კოორდინატორი: "ტესტირება აუცილებელია, რადგან დროული ჩარევის შემთხვევაში ამ დაავადებების მართვა-განკურნება შესაძლებელია და არ არის განაჩენი. სამტრედიაში ჩვენი ორგანიზაცია C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ამუშავებისთანავე ჩართულია პოპულაციაში C ჰეპატიტის სკრინინგის ტესტის ჩატარებით. ნებისმიერ ადამიანს 18 წლის ზემოთ ვემსახურებით. დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში ვამისამართებთ ელიმინაციის პროგრამაში ჩასართველად. ევროპის კვირეულს წელს აქტიურად გამოვეხმაურეთ. 44 ბენეფიციარი გამოვიკვლიეთ. საბედნიეროდ, ყველა პასუხი უარყოფითი იყო. ასევე, საბედნიეროდ, დაავადების აღმოჩენის შემთხვევები სამტრედიაში ნაკლებია".

მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობენ ეროვნული ცნობიერების განმტკიცებისათვის

ნათია ნაცვლიშვილი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა ძალიან საინტერესო ახალგაზრდულ კონფერენციას უმასპინძლეს. გადაჭედილ აუდიტორიაში გაიმართა მოსწავლეთა პარლამენტის კონფერენცია თემაზე: "სამტრედიელები საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში". ამ საინტერესო იდეის ავტორი ჯონი ნადირაძეა, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერთა ღირსეულ ჭირისუფლად დგას და მომავალ თაობას, რომელმაც ბევრი რამ არ იცის საქართველოს უახლესი ისტორიის ტრაგიკული პერიოდის შესახებ, აკვალიანებს და საკითხებში არკვევს. წლებია, ბატონი ჯონი წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელია და მოკრძალებულად, უბრალო ვაგონში ატარებს სამუშაო დღეებს. _ მე მოხუცი და ეს თხუთმეტი ახალგაზრდა საინტერესო თემამ გაგვაერთიანაო, იხუმრა ბატონმა ჯონიმ და ვრცელი შესავალი სიტყვა თავადვე წარმოსთქვა. კონფერენციის მომზადებაში ამ ნიჭიერ ბავშვებს ასევე დაეხმარნენ ახალგაზრდული პარლამენტის კურატორი ელიკო ანკვაბი და ჰედაგოგი ნატა ჯიქია, რომელთაც ბავშვებისადმი დიდი თანადგომისათვის უამრავი მადლობა დაიმსახურეს კონფერენციის დამსწრეთაგან. სტუმართა შორის ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ და ის ადამიანები, რომელთაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ქვეყნის წინაშე, რომელნიც სიკვდილსაც არ შეუშინდნენ და ბოლომდე უერთგულეს ზვიად გამსახურდიას, საქართველოს დევნილ პრეზიდენტს.

კონფერენცია თემატურად ორ ნაწილად დაიყო, პირველი ნაწილი 1918 წლის დამოუკიდებლობას და ამ საქმეში სამტრედიელების როლს მიეძღვნა, ხოლო მეორე ნაწილი, საქართველოს უახლეს ისტორიას _ 1991 წლის დამოუკიდებლობას. დარბაზში იმყოფებოდა საქართველოს უზენაესი საბჭოს ერთადერთი წევრი, ზურაბ სანიკიძე, რომელმაც ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტს მოაწერა ხელი. ობიექტური მიზეზების გამო მოსვლა ვერ შეძლო სამტრედიაში ეროვნული მოძრაობის გამოკვეთილმა ლიდერმა, რამდენიმე მოწვევის პარლამენტის წევრმა, ვიცე-სპიკერმა ზვიად ძიძიგურმა, რომლის ხელმოწერაც ამკობს ამ ისტორიულ დოკუმენტს. ამქვეყნად უკვე აღარ არიან თემურ ქორიძე და ამირან კალაძე, რომელთა ხელმოწერებიც ასევე არის დამოუკიდებლობის აქტზე. მოსწავლეებმა ისაუბრეს 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" მიღების და ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების უდიდეს მნიშვნელობაზე. მიუხედავად იმისა, ნათქვამი იყო მომხსენებლების მიერ, რომ "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი" დეკლარაციული ხასიათის დოკუმენტია, მას აქვს წმინდა ნორმატიული ხასიათი. ამ აქტში ჩამოყალიბებული დებულების საფუძველზე ხორციელდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგებლობა მთელი მისი არსებობის განმავლობაში, რადგანაც ქვეყნის კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს და მას ფაქტობრივად, არც ერთი დღე არ უმუშავნია. ახალგაზრედებმა განაცხადეს, რომ სიამაყით მოიძიეს ინფორმაცია იმ სამტრედიელების შესახებ, რომლებიც საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრები იყვნენ და ყველა მნიშვნელოვან პროცესში მონაწილეობდნენ. ეს ადამიანები არიან: პეტრე გელეიშვილი, ფილიპე ლორია, კონსტანტინე კანდელაკი, აკაკი პაპავა, ნიკოლოზ ელიავა, სარდიონ თევზაძე და ნიკო ნიკოლაძე. ამ ადამიანთა უშუალო მონაწილეობით იქნა მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ. 1918 წლის 26 მაისს მიღებულ დამოუკიდებლობის აქტზე ეროვნული საბჭოს სხვა წევრებთან ერთად პეტრე გელეიშვილის, ნიკოლოზ ელიავას, აკაკი პაპავას ხელმოწერებიცაა. ნიკო ნიკოლაძე ამ დროს ქალაქ ფოთში იმყოფებოდა აკაკი ჩხენკელთან და საქართველოს დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად და გერმანელებთან და თურქებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. რაც შეეხება ფილიპე ლორიას, სარდიონ თევზაძესა და კონსტანტინე კანდელაკს, ჯერ ვერ მოხერხდა იმის დადგენა, თუ რა მიზეზით არ არის მათი ხელმოწერა 26 მაისს მიღებულ დამოუკიდებლობის აქტზე. სამტრედიელებს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ ასევე ეროვნული საბჭოს მიერ შექმნილ დროებით მთავრობაშიც, კონსტანტინე კანდელაკი თავდაპირველად ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი (მოადგილე) იყო, ხოლო შემდეგში მინისტრი, პეტრე გელეიშვილს კი მიწათმოქმედების მინისტრის ამხანაგის (მოადგილის) პოსტი ეკავა. დამფუძნებელი კრების სამტრედიელი წევრი, პავლე წულაია იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, კონსტტუციის შემმუშავებელი კომისიის წევრი. ახალგაზრდული პარლამენტის წევრებმა შეკრებილთ ვრცლად გააცნეს ამ ადამიანთა ტრაგიკული ბიოგრაფიები, რომელთა ცხოვრებაც დახვრეტით დასრულდა. ბრალდება კი ყველას მსგავსი ჰქონდა _ მენშევიკური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა! დახვრიტეს პეტრე გელეიშვილი, სარდიონ თევზაძე, ციმბირში, საკონცენტრაციო ბანაკში გარდაიცვალა პავლე წულაია, ნიკოლოზ ელიავა სოფელ ღანირიდან იყო, ის იყო ძმა პოლიტიკურად მოწინააღმდეგე პლატფორმაზე მდგარი შალვა ელიავასი, ორივე ძმა დახვრიტეს. ნიკოლოზ ელიავა თბილისის ქალაქის თავიც გახლდათ, დახვრიტეს მისი ვაჟიც. დამფუძნებელი კრების წევრი. ერმალოზ კალაძე დააპატიმრეს ქუთაისის პოლიტბიუროს განკარგულებით, 1923 წელს უარჰყო კავშირი სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან და დადებითი შეფასება მისცეს. ნიკო ნიკოლაძის ბედნიერი გამონაკლისია, თავისი სიკვდილით რომ გარდაიცვალა სიბერეში. გლობალურად მოაზროვნე ნიკოლოზ კანდელაკი საბჭოთა არმიის მიერ ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა, გარდაიცვალა შვეიცარიაში, გადაასვენეს ლევილში.

1921 წლის 25 თებერვალი ახალგაზრდებმა კოლაუ ნადირაძის გენიალური ლექსით შეგვახსენეს: "თოვდა და თბილისს ებურა თალხი", რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის და საბჭოთა ხელისუფლების ძალადობის გზით დამყარების შემდეგ ქვეყანაში წინააღმდეგობის მოძრაობა დაიწყო, 1924 წლის შეიარაღებულ აჯანყებას დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ამ აჯანყების გამო რეპრესიებს ემსხვერპლნენ დამფუძნებელი კრების წევრი, ჩვენი თანამემამულე ილია კოპალეიშვილი და წიაღუბნელი სარდიონ თევზაძე. ორივე 1924 წელს დახვრიტეს. განსაკუთრებით დიდი მსხვერპლი იყო ზემო იმერეთსა და სამეგრელოში, თავადაზნაურთა ზოგიერთი საგვარეულო მთლიანად გაანადგურეს, სერგო ორჯონიკიძე მოსკოვს გაგზავნილ მოხსენებაში თავს იწონებდა თავდაზნაურობის დიდი რაოდენობის დახვრეტით და პირობას დებდა, რაც დარჩა, იმათაც მალე გავანადგურებთო.

ახალგაზრდებმა ასევე ვრცლად ისაუბრეს ეროვნული მოძრაობის ახალ ეტაპზე, რომელიც 1950-იანი წლების მეორე ნახევარში ასპარეზზე ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გამოსვლასთან არის დაკავშირებული. ვრცლად ისაუბრეს მათი საქმიანობის შესახებ, სამტრედიაში გაშლილ ეროვნულ მოძრაობაზე და რკინიგზის გადაკეტვის აქციის ისტორიულ მნიშვნელობაზე, რომელსაც პირველი მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება მოჰყვა და ეროვნული ძალის მოსვლა ხელისუფლებაში.

შეკრებილთ მიესალმა ზურაბ სანიკიძე, მან გაიხსენა ეროვნული მოძრაობის პერიოდი, აღნიშნა, რომ ახალგაზრდებს ამ მნიშვნელოვანი თარიღების არსი და ფასი კარგად უნდა ესმოდეთ, მსგავსი კონფერენციები კი ხელს უწყობს ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის თარიღთა პოპულარიზაციას.

საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია: "ჩვენო ძვირფასო ახალგაზრდებო, ორსაათნახევარმა ძალიან სწრაფად განვლო, მჯერა, წლების შემდეგ თქვენ შეცვლით პარლამენტის დღევანდელ წევრებს, თქვენ უნდა მართოთ ეს ქვეყანა, მადლობა, იმისთვის, რომ არ გავიწყდებათ, ვისი გორისა ხართ". ლევან გაბეჩავა, სამტრედიის მაცნეს პასუხისმგებელი მდივანი: "ამ სახლში ყოველთვის დიდი სიყვარულით მოვდიოდი, როცა ამ გოგობიჭების ტოლა ვიყავი, პატივია აქ მოსვლა ახლაც, როცა აღვნიშნავთ ძვირფას თარიღებს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში: მერაბისა და ზვიადის დაბადებიდან 80 წლისთავს და 30 წლისთავს ისტორიული 9 აპრილიდან, რომელიც იყო საბჭოთა კავშირის დასასრულის დასაწყისი. 1918 წელს დაარსდა დედა უნივერსიტეტი, 1919 წელს ეროვნული მუზეუმი, სახელმწიფო ბანკი, მოიჭრა ფულის ერთეული, ამავე წელს მოხდა პირველი ეროვნული ლატარეის გათამაშება, რომლის ინიციატორიც ნიკოლოზ კანდელაკი იყო. თანხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მოხმარდა, დღეს იმდენი სიახლე მოვისმინე, კიდევ ერთხელ ვირწმუნე, სწავლა სიბერემდეა, აქ ღვაწლმოსილი ადამიანების ბიოგრაფიები წარმოადგინეს, რომელთაც იდეას არ უღალატეს".

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ლიზა კრავეიშვილი: "მადლობა ბავშვებო, ბევრი რამ გავიხსენე, ბევრიც სიახლე გავიგე, ადამიანებს რომ თავისუფლებისაკენ მისწრაფება ჰქონდეთ, ეს ნატვრა ძველია, "იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი..." მაგრამ მიღწეულს გაფრთხილება უნდა, საქაერთველოს გეოპოლიტიკური მდებარეობს გამო ყველა ქვეყანას აქვს თავისი ინტერესი და გვჭირდება დიდი პოლიტიკური ალღო, რომ თქვენმა თაობამ უკეთეს საქართველოში იცხოვროს!"

საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი, ალექსანდრე თევზაძე: "პირველ რიგში, მადლობა კონფერენციის მონაწილეებს ამ საინტერესო ისტორიული ექსკურსისათვის, ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისათვის ბევრი პიროვნება, ვისზეც დღეს მოვისმინეთ, უცნობი იყო, მათ შორის, ჩემი მოგვარე თევზაძეც, მსგავსი ღონისძიებები აუცილებელია ეროვნული ცნობიერების განმტკიცებისათვის, თავს ბედნიერად ვრაცხ, რომ 1991-93 წლებში ვიყავი თემის გამგებელი და საკრებულოს წევრი. მაშინდელი ერთიანობა და სულისკვეთება დღეს მენატრება".

კობა ძიძიგური, მიუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: "დიახ, იჩარხებოდა, იძერწებოდა ჩვენი ეროვნული სულისკვეთება, უდიდესია ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას წვლილი, ახლაც მენატრება ის ერთიანობა, რომელიც გაგვაჩნდა, ერთი სულისკვეთება გვქონად ერს და ბერს _ ქვეყნის დამოუკიდებლობა! მადლობა ამ ლამაზი და საინტერესო კონფერენციის მოწყობისათვის!"

გამჭვირვალე ვითარცა პროლი

პოეტ ირმა ქურასბედიანის საიუბილეოდ

ქეთევან ჭელიძე

ჰოდა, აიდგეს მოებმა ფეხი! დობილს ყვავილების სურნელით აუვსეს კალთა და ომახიანად აგუგუნდა ამაყი სვანური სიმღერაც. "ფეხისწვერზე დატეულ სათქმელს" ცეცხლოვანი ცეკვით უამბობდნენ სიყვარულით ანთებულ პოეტს, თავადაც ლექსის სტრიქონებთან ერთად ყველას რომ უნაწილებდა. ტაში და ემოცია ძალობდა დარბაზში. ნიჭის, ინტელექტის, ადამიანად ყოფნის ზეიმი იდგა. აღმაფრენით სავსე ნატიფი პოეზია მსმენელისკენ იკვლევდა გზას და ცისფერ სიბურველში ხვევდა.

ისევ ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი. ამჯერად ქალბატონმა ირმა ქურასბედიანმა მიგვიწვია თავის იუბილეზე. "ცოტა ხნის წინ აქ მე მიმყავდა ჩემი დიდი მეგობრის საიუბილეო საღამო. სწორედ მისი სურვილი იყო, ეს ღონისძიება შემდგარიყო, ამიტომაც დავთანხმდი. მინდა, იგი ბატონ ბენია თხილავას ხსოვნას მივუძღვნა". _ განაცხადა მან.

"გაზაფხულის იმ ღამედან ნახევარი საუკუნე გავიდა" და, აი, ქუთათურებმაც "სოფლის ბილიკზე ნაკალმახარი, ქალაქის ზღვაში ასხლეტილი" ქალბატონის დაბადებიდან 50, ხოლო შემოქმედების 30 წლისთავის აღსანიშნავად მოიყარეს თავი. ლექსი დაულოცეს, სხვისთვის გაღებული ამაგი დაუფასეს, მადლობა უთხრეს ხალხში მარგალიტებად გაბნეული სიკეთისთვის, ერთგულებისთვის...

ბუნების სილაღით ნასაზრდოები მისი პოეზია მართალია, გულწრფელია და იმედიანი. პოეტიც ასეთია: ღიმილიანი, სიყვარულიანი, მამულდედულზე უსაზღვროდ შეყვარებული და ლექსით სავსე.

ლენტეხის რაიონის სოფელ ხუფურში დაიბადა და აღიზარდა ირმა ქურასბედიანი. საშუალო სკოლაც იქვე დაამთავრა. ხელოვნების სიყვარული ოჯახიდან დაჰყვა. ჯერ ქუთაისის აკაკი ვასაძის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ისწავლა და თეატრალი გახდა. სასცენო მოღვაწეობასთან ერთად ბავშვთა მუსიკალურ-თეატრალური სტუდია "იმედი" ჩამოაყალიბა და პატარებს სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრას ასწავლდა. 20 წელია, ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 საჯარო სკოლის პედაგოგია. დაამთავრა, აგრეთვე, წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის გელათის აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი საღვთისმეტყველო და ქრისტიანული ხელოვნების სპეციალობით. წლების მანძილზე ქუთაისის მასწავლებლის სახლთან არსებული შემოქმედ პედაგოგთა სალონს ხელმძღვანელობდა. შემოქმედ მასწავლებელთა კონკურსზე კი პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა.

ირმა ქურასბედიანი საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და საქართველოს მწერალთა, შემოქმედთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის წევრია. ასევე, _ საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და საპატრიარქოსთან არსებული ჩოხოსანთა საზოგადოების წევრი, საზოგადოება "ბაღისკიდის", "ქუთაისელისა" და "ძველი ქუთაისელების" წევრი, იპოლიტე ხვიჩიას იუმორის აკადემიის პრეზიდენტი და კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს წევრი. მეგობრებთან ერთად დააფუძნა სრულიად საქართველოს სადისკუსიო დარბაზი "ღირსება" და დღემდე მისი თავმჯდომარეა. შექმნა საქველმოქმედო ფონდი "დავიწყებული სახეები". ახლახან გამოიცა მისი მეთერთმეტე პოეტური კრებული "სულში გაზაფხულის კვირტებია". ქალბატონი ირმა მთარგმნელობით მუშაობასაც ეწევა. თარგმნა შექსპირის 154 სონეტი, ჰამლეტის მონოლოგი. ამჟამად ჯორჯ ბაირონისა და რობერტ ბერნსის ლექსებს თარგმნის.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა ირმა ქურასბედიანს მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემია მიანიჭა, ხოლო საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა აკადემიამ _ ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია. არის წლის პრემიის _ "თეთრი არწივის" მფლობელი, პრემიით დააჯილდოვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

ქალბატონი ირმა ხელმძღვანელობს ლიტერატურულ შეხვედრებს "ქუთაისური საღამოების" ფარგლებში. ტელეკომპანია "შეგა ტვ-ზე" ბენია თხილავას სახელობის სატელევიზიო კლუბის "ღია სამოქალაქო საზოგადოების" წამყვანია. მართლმადიდებელი ქალბატონი გალობს წმინდა ილია მართლის სახელობის ტაძარში. აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისთვის მას "ღვაწლმოსილი ქუთაისელის" წოდება მიენიჭა. ის ყველგანაა, ასეთია და ამიტომაც შეიყვარეს და ენდობიან მას. ამის გამოხატულება გახლავთ ის საიუბილეო საღამოც, ერთ დიდ ფოიერვერკად რომ იქცა თავისი ბრწყინვალებით, ჟღერადობითა და სინათლით.

ღონისძიების ორგანიზატორი და წამყვანი, მსახიობი თეა გეგეჭკორი შემდეგ იტყვის: "ისეთი საღამო გამოვიდა, როგორიც თავად ირმაა."

გულში ვერდატეული სიყვარულის გამო მოუსვენრობდა პოეტი და მღველვარებითა და მადლიერებით სავსე სიტყვებით შუამავლობდა სცენასა და მაყურებელს შორის. "მადლობა ცოტაა იმისთვის, რაც დღეს აქ ხდება". _ განაცხადა მან. _"სვანეთში დაბადებული ვარ და ზღვაში გადაგდებული კენჭივით ხარ, როცა უცხო ქალაქში მოხვდები. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ცხოვრებაში მხვდებოდნენ ადამიანები, რომლებიც უანგაროდ მედგნენ გვერდით და თუ დღემდე ამ სახით, ჩემი მოკრძალებული პიროვნებით მოვაღწიე, მათი დამსახურებაა".

მშობლიური სანახებისა და ხალხის სიყვარული სიმღერითა და ცეკვით ჩამოუტანეს პოეტს ლენტეხის გელა გუგავას სახელობის ანსამბლ "ლაგუშედას" წევრებმა. აღდგომის დღესასწაული მიულოცა შეკრებილ საზოგადოებას და საკუთარი ლექსი წაუკითხა ქალბატონ ირმას ქუთაისის წმინდა ილია მართლის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა ექვთიმე ჩივაძემ.

სცენაზე სათქმელი არ ელეოდა ირმა ქურასბედიანის შემოქმედების თაყვანისმცემლებს.

"დამეთანხმებით, უფლის ნებით ხდება ყველაფერი და ქალბატონ ირმასთვის მან ყველაფერი გამოიმეტა: ჰყავს კარგი ოჯახი, არის წარმატებული. ყველა სფეროში ირმაა და ეს ერთეულთა ხვედრია". _ აღნიშნა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა როლანდ კოპალიანმა, სოხუმში საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის ყოფილმა რექტორმა. "იცხოვრო ქუთაისში, არის ადვილი, მაგრამ იყო ქუთაისელი, არის ძალიან რთული და თუ როგორ იცხოვრო, თქვენ ამის მაგალითს იძლევით.

რაც შეეხება თქვენს უანგარო საქმიანობას აფხაზეთის სკოლასთან, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტთან, ჩვენ ვალში ვართ თქვენთან. ნოვალისს აქვს ასეთი გამოთქმა: "ადამიანად ჩამოყალიბება ხელოვნებაა" და თუ ეს ასეა, მინდა მივესალმო ხელოვნების უბადლო ნიმუშს _ ირმა ქურასბედიანს".

ემოციური იყო პოლიტოლოგის, პროფესორის, მწერალთა კავშირის წევრის, ქართული კულტურის რაინდის, ქალბატონი ირმას მეგობრის, ოთარ ჭუმბურიძის გამოსვლა: "ამბობენ, იყო პოეტი და თანაც ქალი, ძალიან ძნელიაო, მაგრამ ქალი საქართველოში თავად პოეზიაა. ქართველი ქალი, თანაც პოეტი, ორჯერ პოეტია. მისი პოეზია გამჭვირვალეა, ვითარცა ბროლი. მას ჩვენ დიდი ნდობა გამოვუცხადეთ და "იპოლიტეს საზოგადოებამ" ერთხმად აირჩია პრეზიდენტად. ყველაფერს თავს გაართმევს, ის მოღვაწე ქალბატონია".

საკუთარი კრებული უსახსოვრა იუბილარ მეგობარს ზესტაფონელმა პოეტმა მალხაზ მაჭავარიანმა და "გვირილობის" დღესასწაულზე დაწერილი საკუთარი ლექსიც წაიკითხა. ზესტაფონიდან ქალბატონ ირმას კიდევ ერთი მეგობარი, მუსიკოსი დოდო მერკვილიშვილიც ეწვია. მან გულთბილი მილოცვის შემდეგ იუბილარის პოეზიიდან ლექსიც თქვა და სიმღერაც შეასრულა.

საზოგადოება "ღირსების დარბაზისა" და "ბაღისკიდის" აქტიური წევრები, ჩოხოსნები, პლასტიკური ქირურგი, მელომანი, მხატვარი თემურ ძიძიგური და "ჩუმი ქველმოქმედი", როგორც ზაზა სულაძეს ქუთაისელები უწოდებენ, ირმა ქურასბედიანის თანამოაზრეები და მეგობრები არიან. მათი დახმარებით გამოსცა პოეტმა კრებული "სულში გაზაფხულის კვირტებია".

"ყველაზე დიდი დამსახურება, რაც ქალბატონმა ირმამ მიიღო, ხალხის სიყვარული იყო, ამიტომაც დავთანხმდი. მინდა, ეგი ბატონ ბენია თხილავას ხსოვნას მივუძღვნა". _ განაცხადა მან.

"ბენიას ბიბლიოთეკა ბევრ ადამიანს ეხმარებოდა. ბენიას ბიბლიოთეკა ბევრ ადამიანს ეხმარებოდა. ბენიას ბიბლიოთეკა ბევრ ადამიანს ეხმარებოდა. ეს

“მე სიყვარულით მავაოცე წუთისოფელი”

ნათია ნაცვლიშვილი

მეათე საჯარო სკოლის მოკრძალებულმა დარბაზმა გასაოცრად ნიჭიერი ბავშვების ემოცია, ჟრიამული და მხიარულება დაიტია. ეს დარბაზი უფრო დიდი რომ იყოს, მართველები ფრთებს უკეთ გაშლიდნენ. პატარებმა შესანიშნავი ცეკვები შემოგვთავაზეს და არწივებივით იფრინეს. ეს ლამაზი საღამო დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს მიეძღვნა და ის მესამე და პირველი კლასის ბავშვებმა შემოგვთავაზეს.

საღამოს ავტორმა, მესამეკლასელთა პედაგოგმა, ნათელა გოგოტიშვილმა ღონისძიების დაწყებამდე ყველა იმ, ადამიანს გადაუხადა მადლობა, რომელთაც დარბაზის გაფორმებაში თუ სხვადასხვა ტექნიკური საკითხის მოგვარებაში მიიღო მონაწილეობა. პატრიოტული შინაარსის ღონისძიება გასცდა მხოლოდ სასკოლო წლის დამამთავრებელი საღამოს მასშტაბებს და როგორც სანახაობრივად, ისე შინაარსითაც ძალზე შთამბეჭდავი იყო. საღამო ეროვნული ჰიმნით გაიხსნა. ეს ბავშვები ბრწყინვალე რესურსია არა მარტო სკოლის,

არამედ, მთელი მუნიციპალიტეტისათვის. საბა ოჩიგავას ცეკვამ ახლახან სრულიად ფეისბუქსივრცე გაიცა. _ სისხლით და ცრემლით იწერებოდა პატარა საქართველოს დიდი ისტორია, მტერი სჭარბობდა მოყვარესო, ბრძანეს ამ პატარა გოგო-ბიჭებმა. როგორც ნათელა მასწავლებელმა გვითხრა, ამ ღონისძიებას წინ უსწრებდა მათ კლასში გაკვეთილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეზე, სწორედ ამ დროს წაიმღერა მოსწავლე გიორგი არაბიძემ სიმღერა “ჩემი საქართველო აქ არის”. ამ სიმღერით გიორგი სცენაზეც წარსდგა და მაყურებლის დიდი მოწონებაც დაიმსახურა. იაკობ გოგებაშვილის “ცოტნე დადიანის” გასცენიურებაც შესანიშნავად მოახერხეს პატარებმა და გულში ჩამწვდომი სანახაობა შემოგვთავაზეს. “აფხაზეთიდან ვიყავ განა_ ყველა მოხიბლა ამ სიმღერის ემოციურმა შესრულებამ. ვინ მოულავს ქართველს, გული უძგერს სამშობლოსათვის! _ სიმხნევეს გვმატებს ამ გაბედულ ნოტაზე, სიამაყით წარმოთქმული ამ ბავშვების სტრიქონების მოსმენა. ბავშვებმა შესანიშნავად შეასრულეს როგორც ეროვნული, ისე უცხოური ცეკვები. მერე სცენაზე პირველკლასელი ულამაზესი გოგო-ბიჭები ავიდნენ პედაგოგ ნინო მაჭარაშვილთან ერთად და თავიანთი ერთწლიანი ნაღვაწი წარმოგვიდგინეს. ანბანთქების სიმღერებით, აბა, როგორ დავიღლებითო, გაიცვირვეს პატარებმა. სცენაზე იაკობ გოგებაშვილიც გამოჩნდა, ჩემი “დედაენაც” გზაფხულივით უნდა შეიჭრას ყმაწვილის სულშიო, ბრძანა მან და გაზაფხულის ყვავილი, ია შეარჩია თავისი უკვდავი “დედაენისათვის”. პატარებმა ცეკვა- სიმღერითაც მოგვაწონეს თავი, აი, ცეკვის ნამდვილი კლასი კი, სტუმრად მიწვეულმა მეოთხე ბაღის აღსაზრდელმა, ბარბარე ფირცხალაიშვილმა აჩვენა. მან ბრწყინვალედ იცეკვა რო-კენ-როლის მუსიკაზე. მისი ეს შემოქმედებითი აქცია სიურპრიზი აღმოჩნდა დარბაზში მყოფი ბაბუასათვის, ბეჟან გოგიასათვის.

მოსწავლეების და პედაგოგის შრომა შეაფასა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგურმა: “საოცარი წარმოდგენა იყო, როგორც არაერთხელ გვინახავს აქ. მადლობა ქალბატონო ნათელა და ნინო, ეს დღე ჩემი ცხოვრების ლამაზ დღეთა ნუსხაში უთუოდ შევა. მადლობა ამ პატარებს, ისინი, მართლაც, ქართული სულის და პატრიოტული მისწრაფების მქონენი იქნებიან, ეს არის ჩვენი საყრდენი ძალა, თქვენ იქნებით, ბავშვებო, ამ ქვეყნის ძლევამოსილი ქართველები!”

ტარიელ დვალიშვილი, საკრებულოს ფრაქცია “ქართული ოცნების” თავმჯდომარე: “ყოველთვის მიხარია ამ სკოლაში მოსვლა. იმის შემდეგ, რაც აქ რამდენიმე წლის წინ ვნახე, არა მგონია, რამემ გამაკვირვოს, საოცარი ღონისძიება მიეძღვნა 2008 წლის აგვისტოს ომის გმირებს, ამატირა იმ ღონისძიებამ. დღესაც საოცრად ლამაზი და საინტერესო დღე იყო, ერთი რამ მინდა ვთქვა: ასეთი ვიწრო დარბაზი ნამდვილად არ გეკადრებათ.”

ბეჟან გოგია ამ სკოლის კურსდამთავრებულია, მან თავის გამოსვლაში განაცხადა: “ მოგესალმებით, ძალიან კარგი წარმოდგენა გამართეთ, პატარებო, ამ სკოლიდან საუკეთესო ადამიანები გამოდიოდნენ, 1 აკადემიკოსი, 5 პროფესორი, გენერლები და გმგებლები, ვიცემერები და სპორტსმენები აღზარდა სკოლამ. მადლობა ქალბატონო თამარ, პედაგოგებო, ბავშვებო, ყველა მოსწავლეს გეფერებით, პირველკლასელებს განსაკუთრებით. მინდა აღვნიშნო, რომ საბა ოჩიგავას ცნობადობა ძალზე მაღალია, მისი ცეკვის ვიდოეკადრები მილიონნახევარმა ადამიანმა ნახა. მოსწავლეებს მიესალმა და წარმატება უსურვა ასევე პედაგოგმა დალი ღამბაშიძემ.

80 წლის იუბილეს გილოცავთ, ქალბატონო აზა!

ქალბატონი აზა მელქაძის ოდისეა სოფელ ჩხენიშიდან იწყება. ამ მშვენიერ სოფელში ეზიარა ის არასრულ საშუალო განათლებას, შემდეგ კი სწავლა, გააგრძელა სამტრედიის №13 საშუალო სკოლაში. უმაღლესი განათლება ქალბატონმა აზამ თბილისში მიიღო დაწყებითი განათლებისა და პედაგოგიის სპეციალობით.

ქალბატონი აზა მელქაძე თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა მოზარდთა აღზრდას სამტრედიის №3 ბაგა-ბაღში. ბაგა-ბაღის ხელმძღვანელობა იოლი არ იყო. ის ღირსეულად უმკლავდებოდა სიძნელეებს. მისი ინიციატივით ბაგა-ბაღი გადაკეთდა სპორტულ ბაღად. დაუღალავი გამგის შრომითა და ღვაწლით იგი აღსაზრდელთა პრესტიჟულ სპორტულ ცენტრად გადაიქცა. აქვე ჩამოყალიბდა მხატვრული ტანვარჯიშის, აკრობატიკის, ჭადრაკის სპორტული წრეები. მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი “ბასტი-ბუბუ”, თოჯინების თეატრი მრავალ საოცრებათა მომსწრე და მხილველი გახადა ქალბატონმა აზამ თავისი აღსაზრდელებით ჩვენი ქალაქი. ღირსეულ მამულიშვილთა აკვნად ქცეული “აზას ბაღი” ცნობადი გახადა, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა ჭადრაკში გოგონათა შორის მერი არაბიძემ და საქართველოს ჩემპიონმა ჭადრაკში ჯონი გოგოხიამ.

როგორც ბაგა-ბაღის ხელმძღვანელს, ქალბატონ აზა მელქაძეს მოზარდთა აღზრდაში შეტანილი წვლილისა და მოპოვებული წარმატებებისათვის მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მადლობა, ქების სიგელი და რაც ყველაზე მთავარია, საზოგადოების სიყვარული...

ქალბატონ აზა მელქაძეს არაჩვეულებრივი შემართება და ასაკი არ აძლევს საშუალებას, რომ ოდესმე მისი პედაგოგიური ოდისეა დასრულდეს. დღეს ქალბატონი აზა იუბილარია, რვა ათეული წელი ჩამოიმარცვლა მის ბედნიერ კრიალოსანზე, ის ისევ სიცოცხლით სავსეა, აღმზრდელთა შორის უბადლო მაგალითის მიმცემია ჩვენი თაობებისათვის. ის ისევ ჯიუტად ფეხზე დგას და ისევ იპყრობს ჩვენი აზროვნებასა და გემოვნებას თავისი დარიგებებითა და უანგარო სიყვარულით. თუმცა ურთულესი ცეცხლის ხაზის გადალახვა მოუწია.

ქალბატონი აზა უგულწრფელესი ადამიანია, სულით ხორცამდე აღმზრდელი და ყველაზე ძალიან უჭირს საყვარელი საქმის გარეშე, თითქოს მისთვის დრო გაჩერდა. ისევ ენატრება თავისი შექმნილი ბაგა-ბაღი, აღსაზრდელები, განუყრელი კოლეგები...

ქალბატონო აზა, წილი ნაყარია, თქვენ მარად დარჩებით ჩვენი ქალაქის ისტორიაში, როგორც უპირველესი პედაგოგი და აღმზრდელი, რადგან ჭეშმარიტი პედაგოგის სურვილი ვერასდროს პოულობს ფონს, მისი მარადიული ყოფა ისევ აღმზრდელებისკენაა მიმართული. ქალბატონი აზა შემოქმედიცაა, იგი მშვენიერ ლექსებს უძღვნის პატარებს. მათი განცდებითა და სიხარულით იცოცხლა და ცოცხლობს რვა ათეული წელი. ეს უბადლოდ ენერგიული, მოუსვენარი და ლამაზი ოცნებებით სავსე ქალბატონი, რომელიც ისევ გვაოცებს ასაკთან შეუგუებლობით, სიმტკიცითა და ნამდვილობით, მასში არაფერია ყალბი. სწორედ ასეთი პედაგოგების მხრებზე იდგა და დგას ჩვენი საქართველო!

გულში მძიმედ სუნთქავს
წელთა მოგონება,
ლურჯი საღამოა
როგორც დაღონება,
გაქრა სიყმაწვილე
ლოცვის გაგრძელებად,
მასთან განშორება
იცით, გაძნელდება!
მაგრამ საყვარელო,
სულ სხვა ხალისია,
როცა ოთხმოცის ხარ,
სულში მაისია.

თამარ რაზმაძე
პოეტი პედაგოგი

გულიკო გოგიტიძე
საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიების “ფაზისისა” და “ქალდეას” აკადემიკოსი

ფატი ზამთარაძე
მხატვარი, პედაგოგი

თეიმურაზ ჯულაყიძე
პოეტი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ნიკო ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატი

მე-5 ბაგა-ბაღში მეგობრობამ გაიმარჯვა

21 მაისს მხიარული სტარტები ჩატარდა მე-5 ბაგა-ბაღში. ფიზიკურ აქტივობებში სკოლამდელი დაწესებულების ორი ასაკობრივი ჯგუფი იღებდა მონაწილეობას. სპორტული ღონისძიება დაიწყო პატარების მისალმებით. შესრულდა საქართველოს ეროვნული ჰიმნი.

უფროსი ჯგუფი ორ ნაწილად: “მერცხლებად” და “თოლიებად” გაიყო.

აქტივობაში ასპარეზზე პირველები “ყოჩაღები” გამოჩდნენ. ისინი ერთმანეთს ბურთის გადაცემასა და გრძელ სკამზე ცოცვაში გაეჯიბრნენ. “თოლიებმა” და “მერცხლებმა” შეჯიბრი უფრო გაართულეს, რაც გამოიხატა შემდეგ აქტივობაში _ სწრაფად გარბენა, მოსავლის დათესვა და აღება, ბაგირის გადაზიდვა, ტომრებით სირბილი.

სახალისო სანახავი იყო მშობლების ჩართულობა. დედიკოები მონდომებით უმიზნებდნენ კალათში ბურთს და ცდილობდნენ, სწრაფად დაეხვიათ თოკი.

მხიარული სტარტები ფლეშმობით დასრულდა _ ყველა მონაწილემ მეგობრობაზე სიმღერა შეასრულა.

მხიარული სტარტების მონაწილეებს მიესალმა მერიის განათლებისა და კულტურის სამსახურის უფროსი. ნატალია მანჯგალაძემ მადლობა გადაუხადა პატარებს, მე-5 ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას, მშობლებს და როგორც იყო მოსალოდნელი, ყველა გუნდი გამარჯვებულად გამოაცხადა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა, ხათუნა გაგუამ მხიარულ სტარტებში მონაწილე პატარებს სიგელები დაურიგა.

ნინო ნანიტაშვილი

ჭურთავასთან არის სკოლა _ ულამაზესი ბოლო ზარი მეთერთმეტე სკოლაში

ნათია ნაცვლიშვილი

მეთერმეტე საჯარო სკოლის მეთორმეტე მესამე კლასი სკოლას ემშვიდობება. სულ ოცნი არიან, სცენაზე ჯერ გოგონები გამოჩნდნენ, სანახაობა "აბბას" ცნობილი ჰიტით იხსნება და სკოლის ეზოში შეკრებილ უამრავ მაყურებელს ამაღლებული განწყობა ეუფლება. შემდეგ სცენაზე ცნობილი მსახიობის, ამიკო ჩოხარაძის გამოსვლა და მისი ცეცხლოვანი ცეკვა მაყურებელს ლამაზ განწყობას უათკეცებს. არ მევონა, სკოლის ბოლო ზარს ამდენი დამსწრე თუ ეყოლებოდაო, გაიკვირვა ენერგიულმა მსახიობმა, რომელიც იმ დღის სცენარისტიც იყო, ნიკოლოზობის დღესასწაული მოგვილოცა და წარმოდგენას ეზოში მყოფ მაყურებელთან ერთად მიადევნა თვალი.

გვინდოდა, ბოლო ზარი ჩვენს დამრიგებელს, მაია ფრანგიშვილს გაეხსნა, მაგრამ ერთხელ დავურეკეთ და ხელი მოიტეხა, მეორედ, მეორე ხელი, მესამედ უკვე აღარ დავურეკეთო, იხუმრეს ბავშვებმა... 3 თვეა ვემზადებით და თითოეულს სამასი ლარი დაგვიჯდაო. "სამასი ლარი დაგვიჯდა "მხიარულ რეფრენად გასდევდა მთელს წარმოდგენას და მაყურებელს ახალისებდა. მოსწავლეებმა ერთმანეთი იუმორით დაახასიათეს, წარმოადგინეს შესანიშნავი იუმორისტული მინიატურები. _ შენ შემოგევლე, სად მცალია რომანტიკისთვის, აბიტურიენტი ვარო, გაიოცა ერთმა მათგანმა, ძალიან მიზანმიმართულმა და სიყვარულის ღვთაებას, კუპიდონსაც კი ესროლა ისარი. სცენაზე პედაგოგები მაკა გიგინეიშვილი და თეა კორძაძე მოიხმეს და იუმორისტული "სიცრუის დერექტორი" შესთავაზეს. _ თქვენ უფრო კარგად ყვირით თუ ეკა ბესელია? რომელ ფოტომოდელს შეადარებდით თავს? _ ამ სახალისო კითხვებზე პედაგოგებმა იუმორის თანხლებით უპასუხეს. ახალგაზრდებს არც თანამედროვე ცხოვრების იუმორისტული ქვეტექსტებით შეფასება დავიწყნიათ. ცნობილი მოთხრობის ახალი სათაურია "ალიბაბა და 80 ყაჩაღი." რაო? გაიკვირვა მასწავლებელმა, რა ვქნათ მას, გაიზარდა კრიმინალი! _ შეეპასუხა თამამი მოსწავლე. ბოლო ზარზე პედაგოგების პაროდიაც დასაშვებია, რადგან მოსწავლე-მასწავლებლის მრავალწლიანი, სიყვარულით გაჯერებულ ურთიერთობას საზეიმოდ მომზადებული ხუმრობები ვერ აფერმკრთალებს. ამდენად, ერთ-ერთი ისტორიის მასწავლებლის პაროდია შესანიშნავად წარმოადგინა ლუკა ლევიძემ და მაყურებლის მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა. მისსავე იუმორის ორბიტაში მოხვდა სკოლის დარაჯიც, რომელიც ბოლო ზარის წარმოდგენის გამო ეზოს დანაგვიანების გამო მსუბუქად ტუქსავდა ახალგაზრდებს. თავად დარაჯი ამ სკეტჩს მესამე სართულის ფანჯრიდან ღიმილით ადევნებდა თვალს. "ჭურთავასთან არის სკოლა, ჩვენ წავალთ და სულ სხვა მოვა... ამ სიტყვებმა საგანგებოდ მათ მიერ მომზადებულ კლიპში გაიჟღერეს და თბილი და გულში ჩამწვდომი ემოციებით აივსო ფინალური სცენა. მოზღვავებული ახალგაზრდული ენერგია ცეცხლოვან ცეკვებსა და სიმღერებშიც დახარჯეს, ერთ-ერთმა მათგანმა ემოცია ვერ შეიკავა და ცრემლები მოეძალა სკოლის ყოფილი დირექტორის, ლენა ხაჟალიას და პედაგოგ ნანა კიკალეიშვილის გახსენებისას. მათ მადლობა გადაუხადეს სკოლის ამჟამინდელ დირექტორს, ნანა მანჯგალაძეს და ყველა იმ პედაგოგს, რომელთაც სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მათთვის გზა გაუწალდავთ. სიყვარულით დაემშვიდობნენ საყვარელი სკოლის კედლებს და ახალი უკვე სიძნელეებით აღსავსე გზის აღმართს შეუდგნენ! მათ ძალიან სერიოზული მიზნები აქვთ, პროფესიათა ვრცელი და საინტერესო ნუსხა წარმოადგინეს! ღამე ულამაზესმა ფოიერვერკებმა გაანათა.

წარმოდგენას მამის სტატუსით ესწრებოდა სამტრედიის მერის მოადგილე, დავით ბახტაძე. მან "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში აღნიშნა:

"დღეს მეთორმეტე კლასელებისთვის ბოლო ზარი დაირეკა, ვულოცავ მათ ამ თარიღს, ეს უკვე ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია მათ ცხოვრებაში, ეს საფუძველია შემდგომში მათი მრავალი წარმატებისა. დარწმუნებული ვარ, ეს ახალგაზრდები თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოავლენენ, ვუსურვებ თითოეულ მათგანს საინტერესო ცხოვრებას, წინსვლას და უამრავ წარმატებას."

სიყვარულით სავსე ჯადოსნური ზღაპარი

თეა ბაბუნაშვილი

ჩვენ მოგიყვებით ჯადოსნურ ზღაპარს... ასე დაიწყო, მართლაც, ჯადოსნური ზღაპარი, იმ პატარების შექმნილი, მეთორმეტე საჯარო სკოლის პირველი კლასიდან მეორეში გადასვლა რომ არ გასჭირვებიათ, საგანგებოდ მორთული სპორტული დარბაზის მშვენება თავად რომ იყვნენ, ლამაზები, "დედაენაში" ჩახატული ის მსგავსნი. ჯერ ისევ პაწაწინები, სკამებზე ჩამოსხდარებს ფეხები იატაკამდე რომ ჯერ უწევდათ, თვალის დახამხამებაში გასული წლების შემდეგ კი, ქვეყნის სვე-ბედი რომ უნდა გადაიბაროონ.

მათ ზღაპარში ყველაფერი ზღაპრული იყო, გულწრფელობით სავსე და ოცნებისფერი. ცეკვით, სიმღერით, ლექსით თქვეს მზით გამთბარი სიყვარულის ამბავი. მშობლიურ ანბანთან პირველი შეხვედრის, პირველი შეხების ემოცია, სამერმისოდ ცოდნის მწვერვალების დასალაშქრად გადაინახეს. ამ ყველაფერში კი, მედეა მასწავლებელი დაეხმარათ. ჯერ სკოლაში მისულები დედის კალთიდან საკუთარ კალთას შეაფარა, მერე მერხებთან გააშინაურა, მერე დაფაზე ცარცით "აი აა" გამოსახა და... ამ პატარების წასაკითხი და გასაგრძელებელი, მათი მოსაყოლი და დასასრულებელი ზღაპარიც ასე დაიწყო.

უკვე 47 წელია, სკოლა მეორე ოჯახია მათი მედიკო მასწავლებლისთვის. ვინ მოსთვლის, რამდენი მოსწავლის ტკივილს და სიხარულს გაუვლია მის თვალწინ. ბევრი დაეჯერება და ახლაც ვერ მალავს, რომ "ძალიან კარგი თაობა მოდის, მაგრამ ვისურვებდი, უფრო წიგნიერები იყვნენ. არიან კრეატიულები, სხარტად მოაზროვნეები, პრაქტიკულები, თუმცა, სულიერების და ძირეული განათლების გარეშე, ამ ყველაფერს ის ხიბლი არ აქვს, რაც სასურველია ჰქონდეს. სულიერების უპირველესი შემოქმედი წიგნია და ვისურვებდი, არა სხვისი დაძალებით, თავად მისულიყვნენ წიგნამდე ინტერესით და სიყვარულით." ეს სიტყვები საგზლად გაატანა მედეა გეგეშიძემ არაერთ თაობას და ახლაც იგივეს ეუბნებოდა მერცხალივით ცქრიალა გოგო-ბიჭებს, მეორეკლასელობამ დიდი სიხარული რომ მოუტანა.

მედიკო მასწავლებლის გარდა ბევრნი ულოცავდნენ გზას, სკოლის მასწავლებლები, დირექტორი ნინო ონიანი, ღიმილიანი მშობლები.

მედეა მასწავლებელთან ერთად მუსიკის პედაგოგ ლელა გოლიაძესა და ქორეოგრაფ გაგუ თევზაძეს ემადლიერებოდნენ მათზე გაწეული შრომისთვის.

ჯადოსნური ზღაპარი არ დაუსრულებიათ, გააგრძელებენ, გააგრძელებენ ხვალ, ზეგ, მეორე, მესამე კლასში. და მერე, ისინიც მათხელა რომ იქნებიან, ამ სკოლის კედლებში სულ რამდენიმე დღის წინ რომ გამოემშვიდობნენ ბავშვობის უდარდელ დღეებს, ღიმილით გაიხსენებენ ამ ლამაზ სანახაობას, როცა ზარმაცი გიგოც თავად იყვნენ და ბიჭი სესეც, როცა ასწავლეს "დედაენა ერთია, დედაენა ღმერთია". ამ პატარა სანახაობასაც ასე დაარქვეს და ამ სიყვარულით მეორეკლასელობის გზას დაადგნენ.

შეჩერდი წამო, შენ მშვენიერი ხარ!

ნათია ნაცვლიშვილი

დაირეკა სიმბოლურად და ბოლოჯერ ამ თვალხატულა და ტანაშოლტილი ვოგო-ბიჭებისათვის. ზარის წკრიალით გაიხსნა საღამო, რომელიც სკოლიდან კიდევ ერთ თაობას აცილებს. ეს მართლაც ღირსეული და საამაყო გაცილება იყო, ისეთი, თვალს და გულს ვერარ მოსწყვეტდი. სკოლის დირექტორი იდეების გენერატორია, რას მიქვიან სცენარისტიო, პროფესიით ინჟინერმა და მუსიკოსმა სცენარიც თავად შექმნა, კლიპიც და იუმორისტულ ნომრებზეც თავად დაიხარჯა. მასთან ერთად სცენარზე ფილოლოგმა ნანი შენგელიამ იმუშავა.

სკოლის ეზოში მოწყობილ სცენაზე შემოფრინდნენ ვოგო-ბიჭები, "ვერსად ისე ვერვინ გაგხვევს გამოუცნობ ცეცხლის ალში, როგორც ლერწამქალწულები აქ, ამ წარმტაც ქვეყანაში", გაგახსენდებოდათ გალაკტიონის სიტყვები. ეს საზეიმო კონცერტი კი ბევრ რამეს გაგახსენებდათ და ბევრ რამეზე ჩაგაფიქრებდათ. ეს ბავშვები ქართულ ნიადაგში მყარად ფესვგადგმულნი არიან, თუმცა არც თანამედროვეობის მიღწევებთან არიან მწყრალად.

თავად დადგეს ყველა უცხოური თუ ქართული ცეკვა! არ დარჩენილა ცეკვა, მათ რომ არ შეესრულებინათ! ეროვნული წარსულით თავი მოიწონეს, ჩვენ აი, ამ გორისანი ვართ და ვერც ერთი საუკუნე ვერ შეცვლის ჩვენს ეროვნულ მისწრაფებებსო! ამ სენტენციის დასტურად ვაჟას უკვდავი " ალუდა ქეთელაურიდან" ეპიზოდები გააცოცხლეს. კარგად იცნობენ ეთნო-კულტურას, მწერლობას, ლიტერატურულ საგანძურს, დადიან ტაძარში (გოგა ქათამაძე და გიორგი დუნდუა სტიქაროსნები არიან) და არც 21-ე საუკუნის მაჯისცემას ჩამორჩებიან! "მიყვარს ქართულად, მძულს ქართულად, ვმღერი ქართულად"_ იმეორებდნენ უკვდავი მურმან ლებანიძის სიტყვებს. ... უკვე ეთხოვებიან თბილ კერას, რომელიც იყო მათი ცოდნის აკვანი, შესაძლებლობათა რეალიზების არენა, პირველ სიყვარულში გამოტყდომის, პირველი ამბოხის და გულწრფელი პროტესტის ადგილი. ეს ყველაფერი ვიდეოკლიპად უნდა ექციათ, აქციეს კიდეც და ემოციები მუსიკის ენით გადმოსცეს! მობილურით გადაიღეს კიდევ ერთი ვიდეორგოლი ეკა ჯამბურიამ და კლასის მედალოსანმა მოსწავლემ, დავით ჯოჯუა, რომელიც მომავალი ნეიროქირურგია. სიუჟეტი ნაცნობია, კლასის დამრიგებელი თინა მენთეშაშვილი გაკვეთილის დაწყებამდე ერთ-ერთ მოსწავლეს გზავნის სკოლაში მეთორმეტეკლასელთა მოსაყვანად, ისიც ჩამოივლის სახლებს, სილამაზის სალონებს და სხვა ობიექტებს და მოაგროვებს ბავშვებს. ამ პედაგოგმა, პროფესიით მათემატიკოსმა, კრეატიულმა ქალბატონმა თავის მოსწავლეებთან ერთად, ენერგიულად შეასრულა ცეკვა ტვისტი. პუბლიკამ ის აპლოდისმენტებით დააჯილდოვა. შემდეგ ამ მოსწავლეთა პირველ კლასში გაკეთებული ჩანაწერები გააცნო მაყურებელს დაწყებითების პედაგოგმა, თამარ ჯულაყიძემ, ხოლო თინა მასწავლებელმა უკვე დიდების ოცნებები ამოიკითხა თავისი პლანშეტიდან და სახალისო განწყობა გააძლიერა. მოსწავლეებმა სკეტჩიც შემოგვთავაზეს: განათლების სამინისტროს წარმომადგენლები აწარმოებდნენ გამოკითხვას თემაზე: როგორ მოგწონთ საატესტატო გამოცდების გაუქმება? აქ მოსწავლეებმა მასწავლებლების პაროდიაც შესანიშნავად შეასრულეს. ზოგიერთი მათგანი იწუნებს, ზოგი კი იწონებს გამოცდების გაუქმებას. ისტორიის მასწავლებლის სახე მართლაც შთამბეჭდავად წარმოაჩინეს, სელფი და "სეისბუკი" უყვარს თურმე ბატონ სულიკოს. არც ჯანსაღ კრიტიკას მორიდებიან, ჩვენი სკოლა წელიწადის ყველა დროის მოსვლას ერთნაირად გრძნობსო. ახსენეს გაცრეცილი კედლები, ჩამოშლილი ჭერი და აყრილი იატაკი. მათი თქმით, გაზაფხულზე დაბერილ კვირტებს კედლები ამობურცვაში ეჯიბრებიან, დანოტივებული იატაკიდან კი ლურსმნები ამოცვივდნენ 1957 წელს აშენებული სკოლის შენობაში... ლეგენდარული ნაირა კუპატაძეც ესტუმრათ "ღამის შოუდან", ამ პერსონაჟმა კი მართალაც იუმორის კორიანტელი დაატრიალა, თავისი მოსწავლეები ნაბაკევის სკოლაში მოიყვანა, ერთ-ერთს ეუბნება: "ბიჭო, ეს შხვართი გოგო ცოლად გამოგყვეს კი არა, ფაროსანა არ ეგონო და ფეხი არ დაგაბიჯოსო, "მოსწავლეებმა სცენაზე საყვარელი სკოლის დირექტორი იხმეს და მინი-გამოცდა ჩაუტარეს, წარმოდგენილი ფოტოკოლაჟის მიხედვით უნდა გამოეცნო თითოეული სკოლის პედაგოგი. დირექტორმა ყველა კითხვას გაართვა თავი და შემდეგ მისი ვოკალური მონაცემებიც სიამოვნებით წარმოაჩინა სიმღერით: "დავდივარ მარტო, უმისამართოდ". მერე კი ბუდიდან აფრენილ მერცხლებს დაულოცა გზა და აუდიტორიას მიმართა: "დიდი მადლობა მობრძანებისათვის, თანადგომისათვის, მადლობა მოწვეულ სტუმრებს, ყველა პედაგოგს, რადგან ყოველი მათგანი იყო ჩართული ღონისძიების მომზადებაში, მშობლებს, განსაკუთრებული მადლობა უნიჭიერეს ნანა ჩომახიძეს, რომელმაც დიზაინზე იზრუნა და ნანი შენგელიას, რომელმაც სცენარი შეგვიქმნა. მადლობა ქალაქის მერს, ბატონ ვალერის, რომლის თანადგომითაც ჩვენი სკოლის სახურავის შეცვლა მიმდინარეობს, მადლობა დღევანდელი დღის მთავარ გმირებს, ვტყუოდი, როცა მათ ბრილიანტებს ვეძახდი? ბავშვური სიდიადე არ დაგეკარგოთ, არ შეუშინდეთ მარცხს, იარეთ წინ და როცა წარმატებულები იქნებით, ძალიან გაგვახარებთ, თუ ჩვენს წვლილსაც აღნიშნავთ თქვენს წინსვლაში."

ახალგაზრდები დალოცეს კულაშის მიტროპოლიტ ნაზარის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა რომანოზმა (ნინუამ) და ქუტირის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარმა, მამა ზურაბ ბუაძემ. მათ ნიჭიერ ახალგაზრდებს უსურვეს, მადლი არ დაკარგონ, მადლით, კაცობით და ადამიანობით იცხოვრონ!

ვალერიანე ფოცხვერია: ეს ბავშვები ყველაფერს მიაღწევენ, გილოცავთ არა სკოლის დამთავრებას, არამედ, ახალი ცხოვრების დაწყებას, თქვენს მეგობრებთან ერთად სხვადასხვა ინსტიტუტებში ჩააბარებთ, ახალ ფურცლებს გადაშლით, ბავშვობა გაგახსენდებათ, ასეთი წარმოდგენა კარგა ხანია არ მინახავს, დარჩეული ახალგაზრდები არიან, ყველა ცეკვავს და მღერის, ყველაფერი მომეწონა, თინა მასწავლებელი განსაკუთრებით. უამრავ წარმატებას გისურვებთ! მადლობა ყველას!"

საგანმანათლებლო რესურსცენტრის წამყვანი სპეციალისტი, ალექსანდრე თევზაძე: "მართლაც, ძალიან ბედნიერი დღეა, დღეს ბრწყინვალედ წარსდექით საზოგადოების წინაშე, მადლობა პედაგოგებს, დირექტორს, მშობლებს, თქვენ თუ თქვენს შრომისმოყვარეობას არ შეანელებთ, წარმატებები გექნებათ, დღეს ყველაზე მეტად ქვეყანას პროფესიონალიზმი სჭირდება! ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენ ვართ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი აუცილებელია. გიყვარდეთ სამშობლო და გაძლიერეთ ის თქვენი ნიჭიერებით!" მერის წარმომადგენელი ნაბაკევის თემში, ოთარ წულეისკირი: "გეტყვით სიამაყით, რომ დღეს მეც მეთორმეტე კლასელი ვარ! გვიყვარხართ და გვეამაყებით!" ერთ-ერთი მოსწავლის ემიგრაციაში მყოფმა დედამ ისრაელიდან საჩუქრად ტორტი გამოგზავნა და მისი საზეიმო შემობრძანების დროს ნინი გიგინეიშვილმა ემოცია ვერ დამალა! ესეც ერთი შტრიხი და დეტალი თანამედროვე ქართული რეალობიდან.

"იპოვე შენი ვარსკვლავი"

28 მარტს თბილისში ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის XII რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსი "იპოვე შენი ვარსკვლავი". ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა: ნინი არველაძემ, დაჩი ნიკოლეიშვილმა და II კლასის მოსწავლემ ნინო ადეიშვილმა.

ნორჩი პიანისტები ღირსეულად წარსდგნენ ისეთი კომპეტენტური ჟიურის წინაშე, როგორებიც არიან: სახელოვანი დირიჟორი ავთანდილ მამაცაშვილი, პროფესორ-პიანისტი დოდო ცინცაძე, კომპოზიტორი კახა ცაბაძე, მომღერალი თამილა ბატიკაშვილი, პიანისტი ოთარ ტატიშვილი, პროფესორი რეზო თავაძე, ფოლკლორისტი _ მზია დავითაშვილი და კონკურსის ხელმძღვანელები. ჟიურის წევრებმა სამტრედიელ კონკურსანტებს, ნინი არველაძესა და დაჩი ნიკოლეიშვილს უმაღლესი შეფასება ოქროს მედალი, I ადგილი და ლაურეატის წოდება მიანიჭეს, აღნიშნეს მათი საოცარი საშემსრულებლო ოსტატობა და მაღალი პროფესიონალიზმი. ნინო ადეიშვილმა, კონკურსის ჯერ კიდევ გამოუცდელმა მონაწილემ, III ადგილი და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

"ჩვენი სკოლა არაერთი ოქროთი, ვერცხლით და ბრინჯაოს მედლით ჩამოსულა ამ და სხვა მრავალ საერთაშორისო კონკურსებიდან. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი აღზრდილებით და კიდევ დიდ წარმატებებს ვემიზნებით". _ განაცხადა "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში პედაგოგმა ნათია გაბრიაძემ.

განსაკუთრებული შეფასება და აღიარება მოიპოვა საორკესტრო სიმებიანი განყოფილების პედაგოგმა ნათია გაბრიაძემ. მას კიდევ ერთხელ მიენიჭა საუკეთესო პედაგოგის წოდება და გადაეცა სერტიფიკატი მაღალი პროფესიონალიზმისთვის. ასევე მაღალი შეფასება მისცეს კონცერტმაისტერ ნათია ჭეიშვილს, რომელიც საოცარ თანხლებას უწევდა მოსწავლეებს და ნაყოფიერად წარმოაჩინა მათი შრომა. ნათია ჭეიშვილს, პირადად, დოდო ცინცაძემ გადასცა დიპლომი საშემსრულებლო ოსტატობისთვის.

ნინო ნანიტაშვილი

სტუმრად გაზაფხულზე ანბანეთის ყვავილნარში

ნათია ნაცვლიშვილი

ასეთი პოეტური სახელწოდება ჰქონდა ღონისძიებას, რომელიც პირველი საჯარო სკოლის პირველი ა კლასის მოსწავლეებმა შემოგვთავაზეს. ანბანს არ ვაცილებთ, ივი ჩვენთან რჩება და მასთან განსაკუთრებულ მეგობრობას ვაგრძელებთო, გვითხრა ნინელი შანიძემ, ამ ლამაზი და ჭკვიანი გოგო-ბიჭების დამრიგებელმა.

სცენაზე გაზაფხულს გაეშალა ფრთები, გოგო-ბიჭები პეპლად, ფუტკრად, ჭიამაიად, დათვად, მერცხლად თუ ყვავილებად გარდასახულიყვნენ. მისი უდიდებულესობა მზე მათ მაცოცხლებელ სხივებს არ აკლებდა, არც ცელქ სიოს დანანებია აქ გამოქროლება. ვარდი მეფედ გრძნობდა თავს, ყოყოჩობდა ყოჩივარდა, გვირილა თუ ფურისულა, ყველა თავის უპირატესობაში გვარწმუნებდა. "ჩემს სიფრიფანა ფურცლებზე მზის სხივი როგორ ალმასობსო", თავს იწონებდა მორცხვი ია. იგი პატივით დააბრძანეს სამეფო ტახტზე მას შემდეგ, რაც ბაღში სტუმრად მოსულმა იაკობ გოგებაშვილმა ის ბევრ ულამაზეს ყვავილს შორის ამოარჩია. ყველა ყვავილი ლექსად ამეტყველდა და ეს, მართლაც, ძალიან ლამაზი პოეტური მონოლოგები იყო. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ენასა და ანბანს ძეგლი დაუდგესო, გვითხრეს პატარებმა და უწმინდესის და უნეტარესის, ილია მეორის სიტყვებიც გაიხსენეს ქართული ენის შესახებ. პედაგოგ სოფიო ახობაძის დახმარებით მოსწავლეებმა შესანიშნავი მელოდიებით გაალამაზეს ყვავილეთის დღესასწაული. შეასრულეს მაცაცო სებისკვერაძის, თამარ ვაშაკიძის და მანანა მერაბიშვილის სიმღერები.

ღონისძიების შემდეგ დამსწრეთ შეაფასეს ბავშვებისა და პედაგოგის ნამუშევარი. სკოლის დირექტორი ხათუნა ფაილაძე: "გილოცავთ, ჩემო პატარებო, პირველი კლასის დასრულებას, თქვენ, ნინელი მასწავლებელო, არამარტო დღევანდელი ღონისძიებისათვის მუშაობთ ბევრს, ფუტკარივით მუდამ შრომობთ, რომ თქვენი მოსწავლეები მუდამ გამორჩეულად კარგები იყვნენ. ერთგულება, სასოება, ჩვენი სული და გულია სოფიო მასწავლებელი, მადლობა რესურსცენტრის წარმომადგენლებს თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის".

ელზა ცხვირავაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი: "ბავშვებო, ამ სილამაზემ გამაოცა, სცენა რა ლამაზად მოგირთავთ ყვავილებით, რა კარგად ამბობთ ლექსს, რა კარგად მღერით, შესანიშნავ სკოლაში ხართ მოსული, ისე გააცოცხლეთ ყვავილნარი, მშობლების დაუხმარებლად ამას ვერ შეძლებდით, წინ დიდი გზა გელით და შრომისმოყვარეობას გისურვებთ, მადლობა სკოლის დირექტორს, ქალბატონ ხათუნას, იმისათვის, რომ აქ ყველა პირობაა შექმნილი თქვენი განვითარებისათვის."

ალექსანდრე თევზაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წამყვანი სპეციალისტი: "მადლობა, ჩემო ძვირფასებო, მოწვევისათვის, განებივრებულნი ვართ ამ სკოლაში საინტერესო ღონისძიებებით, აღფრთოვანებული ვარ თქვენი ნიჭიერებით და შრომისმოყვარეობით, სკოლაში ცენტრალური ფიგურა არის მასწავლებელი, ბედნიერებაა, როცა სკოლაში სასწავლო პროცესი გამართულია, ეს სკოლა ამით გამოირჩევა. მენეჯერის დანიშნულებაა, ყველა პირობა შეუქმნას პედაგოგებს და ბავშვებს სასწავლო პროცესის საუკეთესოდ წარმართვისათვის, აქ, მართლაც, შესანიშნავი პედაგოგები არიან. დიდია მშობლების დამსახურება, ვუსურვებ ამ ბავშვებს, ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები აღიზარდონ".

ყლჩალ, ჰირვეულსყლულებლ! მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ...

ლეფან გაბეჩავა

მუზეუმია საერთაშორისო დღეს მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიებები მიეძღვნა სამტრედიის მუნიციპალიტეტში.

საინტერესო იყო 24 მაისს, სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ქალაქის № 1 საჯარო სკოლის (დირექტორი ხათუნა ფაილაძე) მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი ღონისძიება, რომლის შესახებაც მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა გულიკო ცინცაძემ გვაუწყა.

მიწვევა მივიღეთ და შევიტყვეთ, რომ მიმდინარე წლის თებერვალში, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით, სკოლაში მხარეთმცოდნეობის კლუბი "მატეანე" შეიქმნა, რომელსაც პედაგოგი ინგა ხელაძე ხელმძღვანელობს.

კლუბის მიზანი ჩვენი ეროვნული ტრადიციების დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა და გაფრთხილებაა, არსებობს გონივრულად გაწერილი სამოქმედო გეგმა-პროგრამაც. სკოლაში მუზეუმიც გვინდა მოვაწყოთ სამომავლოდო, _ გაგვიმხილეს პირველსკოლელებმა.

პირველ საჯარო სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებს მოსწავლეთა თეატრალური დასი, მას პედაგოგი მადონა თარგამაძე ხელმძღვანელობს. დასის მიერ განხორციელებულმა სპექტაკლმა, რომელიც ფიროსმანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს, თბილისში გამართულ ფესტივალზე მოწონება დაიმსახურა. შევიტყვეთ, თუ როგორ დააჯილდოვა მხურვალე ოვაციით თბილისელმა მაყურებელმა სამტრედიელი ნორჩი თეატრალები.

შეკრებილთ მუზეუმის ხელმძღვანელი გულიკო ცინცაძე მიესალმა და დამსწრეთ, სტუმრებს მადლობა უძღვნა აქტიურობისათვის.

მოკლედ ესაუბრა დამსწრეთ სკოლის სისხლსავსე ცხოვრების შესახებ პირველი საჯარო სკოლის დირექტორი ხათუნა ფაილაძე.

"მატეანეს" წევრებმა პრეზენტაცია გამართეს, გაგვაცვნეს ის ტევადი, მრავალმხრივი ღონისძიებები, რომლებიც დროის მცირე მონაკვეთში განახორციელეს. კულაშის ჯვართამაღლებისა და წმინდა ნაზარის სახელობის ტაძრები, ებრაული სინაგოგა, ტელეფისის ციხე, აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმი... აი, არასრული ჩამონათვალი იმ ღირსშესანიშნავი ადგილებისა, რომლებიც ნათლად გაცხადდა ყოველივე, ახსნა-განმარტებებს კი პედაგოგი ინგა ხელაძე და თავად ბავშვები იძლეოდნენ.

შემდეგ სცენა თეატრალური დასის წევრებს დაეთმო.

ძველისძველ ხალიჩაზე უბრალო, "ფიროსმანისეული" ტახტი, ტახტზე ფიროსმანი მოკუნტულა... მერე მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ფიროსმანის სიცოცხლეში ხდება. ხატავდა ნიკალა, ხატავდა, მაგრამ თითქმის ვერავინ შენიშნა სიცოცხლეში, აქაიქ სიკეთის მთესველნიც გამოჩდნენ თითქოს, მაგრამ ნიკალა მაინც სიღარიბისა და სიმარტოვისათვის გაიმეტა მუხანათმა დროებამ და ბედმა, არა, უფრო უბედობამ.

ერთ მიზეზს _ ქვევრის ღვინოსაც უმღერეს შავჩოხიანებმა და... ამ დროს ცხოვრებისგან გალახული ნიკალაც აღესრულა...

მოკვდა ნიკალა, "მოკვდა თუ არა მელთა ისტორიის შესახებაც მხარეთმცოდნეობის კლუბის წევრებმა შეიტყვეს ჯერჯერობით.

მონიტორის მეშვეობით ჩვენ თვალწინ ნათლად გაცხადდა ყოველივე, ახსნა-განმარტებებს კი პედაგოგი ინგა ხელაძე და თავად ბავშვები იძლეოდნენ.

მერე ნიკალამ (დაჩი ცინდაძე) და სონამ (ელისაბედ სიხარულიძე) გრძნობით იმღერეს, ჩვენი ერისა და ქვეყნის საყოველთაო აღიარების ერთ-ყველამ აცხონა, ცოცხალი არავინ არ მიიკარა..."

არც ამჯერად დააყოვნა აპლოდისმენტებმა.

არ ვაჭარბებთ, ნამდვილი თეატრალებიც მოიხიბლებოდნენ უთუოდ დარბაზში რომ ყოფილიყვნენ, ისეთი შემართებით, როლის შეგრძნებით განასახიერეს დასის წევრებმა საკუთარი როლები.

დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელმა ჯონი ნადირაძემ გარჯა შეუქო პირველსკოლელებს.

მუზეუმის ხელმძღვანელმა გულიკო ცინცაძემ კი მადლობა უთხრა მათ ლამაზი ღონისძიებისათვის.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის მოადგილე ელიკო ანკვაბმა კი დროული წინადადება დაანონსა, განათლების რესურსცენტრმა გვიშუამდგომლოს საჯარო სკოლებთან, რათა მსგავსი მხარეთმცოდნეობის კლუბები სხვა სკოლებშიც შეიქმნასო.

ჩვენის მხრივ გვსურს მადლობა ვუთხრათ პირველი საჯარო სკოლის დირექტორს, ხათუნა ფაილაძეს, მხარეთმცოდნეთა კლუბის ხელმძღვანელს, ინგა ხელაძეს. თეატრალური დასის ხელმძღვანელს მადონა თარგამაძეს, მუსიკის პედაგოგს, სოფო ახობაძეს, შესანიშნავ პედაგოგს, ლია ამაღლობელს იმ გარჯისათვის, რასაც ისინი აკეთებენ ბაშვებისათვის.

ყოჩაღ, პირველსკოლელებო!

"ცაბუნია" ბიბლიოთეკის სცენაზე

პირველ საქალაქო ბიბლიოთეკაში, საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში საინტერესო სპექტაკლი წარმოადგინეს მეექვსე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. მეექვსე სკოლას ამ ბიბლიოთეკასთან მრავალწლიანი თანამშრომლობის ტრადიცია აკავშირებს. ეს ტრადიცია არც ახლა დარღვეულა. "საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი" _ ამ სახელწოდების ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო სპექტაკლი ომის თემაზე. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, ქეთევან ლორთქიფანიძის დახმარებით მოსწავლეებმა კონსტანტინე ლორთქიფანიძის "ცაბუნია" გააცოცხლეს. იმერული ცხოვრების ამსახველი ეს ემოციური და ტკივილიანი მოთხრობა არაერთ ადამიანს მოადენს ცრემლს. "ცაბუნია კი ელოდოს მამას, ომში ყველაფერი მოსავალია, ზოგჯერ კაცს გამოიტირებ, ჯვარს დაუსვამ, მერე, ერთ მშვენიერ დღეს გაიხედავ და, ის კაცი აგერ არ მოდის ჯანმრთელი და ტანმრთელი? "_ ამ სიტყვებით, ემოციურ ნოტაზე დასრულდა სპექტაკლი, რომელმაც დარბაზში მყოფთ ბევრი ცრემლი მოჰგვარა. მოსწავლეებმა შესანიშნავად გააცოცხლეს მოთხრობის გმირები, მათი მცირე ასაკის მიუხედავად, შთამბეჭდავად განასახიერეს ისინი.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ მეხუთე, მეშვიდე და მერვე კლასის მოსწავლეები: გიორგი სტურუა, თეკლა კაცაძე, ხატია ცხვარაძე, ქრისტინე ჯულაყიძე, ელენე ლილუაშვილი, სოსო ცხვარაძე, საბა ნიკოლეიშვილი, ნონა ლილუაშვილი, მარიამ ახობაძე, თამაზ ახობაძე. მუსიკალური ნომრები წარადგინეს გოგა, გიორგი, ნინი შაკაიძეებმა და ანანო ცინცაძემ.

ღონისძიება შეაფასეს მეექვსე საჯარო სკოლის დირექტორმა ლეილა კუბლაშვილმა და ამავე სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ნატა მსხილაძემ. მათ მოსწავლეებს და პედაგოგს მადლობა გადაუხადეს საინტერესო სპექტაკლის წარმოდგენისათვის და მოსწავლეებს ბიბლიოთეკასთან მუდმივი ურთიერთობისაკენ მოუწოდეს. დარბაზში მყოფმა მკითხველებმა, ნათელა ნადირაძემ, ინგა ასათიანმა და მაგული ახალაიამ თავიანთი აზრი გამოთქვეს ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ და აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკა ახალი წიგნებით შევსებას და კომპიუტერიზაციას საჭიროებს. =

ნათია ნაცვლიშვილი

მადლობა ირაკლი ექიმს და სამტრედიის "ჯეო ჰოსპიტალსს"

აფხაზეთიდან დევნილს, მეუღლისა და სამი შვილის დედას, სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრს, დღეს, თუ დილის გათენების და დაღამების აღარ მეშინია, თუკი სიცოცხლის ხალისი მაქვს და ჩემმა სულმა სიმშვიდე მოიპოვა, ამას, უპირველეს ყოვლისა, ბატონ ირაკლი ლაღიძეს, "ჯეო ჰოსპიტალსის" სამტრედიის სამედიცინო ცენტრის მთავარ ექიმს ვუმადლი. როცა უკვე ხელი მქონდა ყველაფერზე ჩაქნეული, ახლობელმა ირაკლი ექიმთან მისვლა მირჩია. ერთი წლის წინ მეზობელ ქალაქში, ერთ-ერთ წარმატებულ კლინიკაში მკერდის ტკივილებით მივედი. თანახმა ვიყავი, ოპერაცია გამეკეთებინა. ექიმის უგულო დამოკიდებულებამ იმედი გადამიწურა და უკანგამობრუნებულს აღარსად მისვლის სურვილი მქონდა.

სულ სხვა სითბო, გულისხმიერება და მზრუნველობა ვიგრძენი სამტრედიის სამედიცინო ცენტრში ირაკლი ექიმთან ვიზიტის დროს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ირაკლი ექიმის კონსულტაციის შემდეგ ოპერაციის გაკეთებას დავთანხმდი. აღმოჩნდა, რომ ფილტვების ანთებაც მქონდა. თერაპიულ განყოფილებაში ექიმ რუსუდან ჭკუასელის მეთვალყურეობის და მკურნალობის ქვეშ თითქმის ერთი კვირა გავატარე. როცა ანთება ჩამიქრა, დაიგეგმა მკერდის ოპერაცია, რომელიც ონკოლოგმა, ბორის ჩაკვეტაძემ სამტრედიის "ჯეო ჰოსპიტალსში" წარმატებით გამიკეთა. ამჟამად ვიმყოფები სახლში და თავს კარგად ვგრძნობ. მაქვს უდიდესი მადლიერების განცდა და მინდა, ყველამ გაიგოს, სამტრედიის სამედიცინო ცენტრში არიან ექიმები და ექთნები, რომლებიც ჩვენს სიცოცხლეზე ზრუნავენ. მინდა, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მადლობა გადავუხადო ექიმებს: ირაკლი ლაღიძეს, ბორის ჩაკვეტაძეს, რუსუდან ჭკუასელს და ნუკრი ფახურიძეს, თერაპიული და ქირურგიული განყოფილების მედპერსონალს იმ შრომისთვის, რასაც ისინი ჩემთვის და სხვა პაციენტებისთვის ყოველდღიურად აკეთებენ. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, არ მოგიშალოთ გამჩენმა მადლიერი პაციენტები.

ლუიზა როსტოვანის
ავტორიზებულიდან დეკნილი

ის კაცი იყო...

"ცხოვრების მიზანია იცოცხლო ისე, რომ სიკვდილის შემდეგაც არ მოკვდე", ბრძანებდა დიდი განმანათლებელი მუსა ჯალილი. ეს მრავლისმთქმელი სიტყვები სრულად შეესაბამება კაცს, ვის შესახებაც ამჯერად ვწერთ, რომლის გარდაცვალებამაც ბევრი დაამწუხრა და რომელსაც ვერაფერი "ავნო" ყოველთა მძლეველმა სიკვდილმა.

ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის შემდეგ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა ბატონმა მურმან კაშიამ. წლების მანძილზე სხვადასხვა საჯარო სკოლაში იმუშავა და იმთავითვე საყოველთაო აღიარება, მომავალი თაობების განუზომელი სიყვარული მოიპოვა.

ბატონმა მურმანმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მათემატიკოსთა კვალიფიციკური კადრების აღზრდის საქმეში. პედაგოგის გარჯის შედეგი იყო ის გარემოება, რომ მისი მოსწავლეები სისტემატურად გამოდიოდნენ გამარჯვებულები ტიტულოვან შემოქმედებით, საგნობრივ კონფერენციებსა და ოლიმპიადებზე.

დღესაც თბილად იგონებენ ისინი სააქაოდან შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში წასულ კაცს, უებრო პედაგოგს.

იგონებენ მისი კოლეგები, ბატონი მურმანი ხომ 15 წელი ხელმძღვანელობდა სამტრედიის მათემატიკის მასწავლებელთა ასოციაციას. ორჯერ მიენიჭა მას უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება. გახლდათ პრეზიდენტის სტიპენდიანტი, ღირსების ორდენის კავალერი.

გარდაცვალებამდე დიდი ხნით ადრე ბატონმა მურმანმა ბატონ რევაზ მუქერიასთან ერთად დააარსა როინ ნადირაძის სახელობის ნორჩ მათემატიკოსთა კონკურსი, პერსპექტიული ახალგაზრდა მათემატიკოსთა გამოვლენას უწყობდა ხელს ყოველივე.

სამწუხაროა, რომ მსგავსი კონფერენციების შესახებ მისი არყოფნის შემდეგ არაფერი გვსმენია.

ეს რაც შეეხება ბატონი მურმანის დიდი გარჯის მცირედ ქრონოლოგიას.

საუბრის ცალკე თემაა მისი სისადავე, უბრალოება, თავმდაბლობა, სიდინჯე და მორიდებული, ღიმილიანი სალამი.

არ ეშლებოდა ავისა და კარგის, მტრისა და მოყვრის გარჩევა.

როინ ნადირაძის გვარ-სახელმა გაიელვა წერილში, ბატონი როინი ბატონი მურმანის ახლო მეგობარი იყო, რომელსაც მეორე ანდრია რაზმაძედ მოიხსენებენ. მეგობრის ხსოვნისადმი ერთგულება იყო უთუოდ ის, რომ როინ ნადირაძის სახელობის ტურნირი დააარსა მურმანმა და ასე უკვდავყო მისი ხსოვნა.

განა შეუძლებელია, ნუთუ ძნელია, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მურმან კაშიას სახელობის ტურნირები ჩატარდეს?

...

...მოულოდნელად აღესრულა გასული წლის ივნისში ბატონი მურმანი.

სულისშემხუთველი ხვატი იყო 17 ივნისს, სამტრედიის კულტურის სახლში ღვაწლმოსილი მსახიობის, მზია ჩიხლაძის ცხედარი ესვენა. ღირსეულ ქალბატონს ეთხოვებოდა სამტრედია და სამტრედიელები. თბილისში კი, ბატონ მურმან კაშიას აცილებდნენ უკანასკნელ გზაზე, სინანულით საუბრობდნენ სამტრედიაში იმ დღეს მასზე. ისინი წლების მანძილზე ბატონი მურმანის მხარდამხარ რომ იღვწოდნენ, აგრეთვე მისი ყოფილი მასწავლებელი, ნაცნობები, რომელთაც გარემოებათა გამო ვერ შეძლეს უკანასკნელი პატივი მიეგოთ ღირსეული სამტრედიელისთვის.

წელი სრულდება ამ დღეებში ჩვენი რაიონის სახელოვანი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლის, ბატონი მურმან კაშიას გარდაცვალებიდან.

ნათელში იყოს მისი სპეტაკი სული!

ლევან გაბეჩავა

მურმან კაშიას გახსენება

მრავალი წლის მანძილზე ავსებდა მურმანი სამტრედიის რაიონის სასიქადულო მამულიშვილთა გუნდს თავისი კაცურ-კაცობით, უდიდესი ღვთისა და კაცთმოყვარეობით, უდიდესი პროფესიონალიზმით.

ბოლო 3 წელი თბილისში იცხოვრა, მუშაობდა კომაროვის მათემატიკურ სკოლაში, სადაც ძალიან მალე დაიმკვიდრა სიყვარული და პატივი თანამშრომლებსა და აღსაზრდელებში.

13 ივნისს ერთი წელი სრულდება მურმანის გარდაცვალებიდან. დიდი ტკივილია მასზე წარსულში საუბარი არა მარტო ახლობლებისათვის, არამედ ყველასთვის, ვინც კარგად იცნობდა მას. რა საქმითაც არ უნდა ყოფილიყო მურმანი დაკავებული, 3 უდიდესი თვისება ახლდა თან: სიმართლე, სიწმინდე და პრინციპულობა, რაც ზოგჯერ მავნთათვის გაუგებარი იყო, განსაკუთრებით მისი პოლიტიკური საქმიანობისას და ამბობდნენ: ვერ გავიგეთ, რა უნდა მურმანსო. თუ ვინმემ დღეს მაინც გაიგო, რა უნდოდა მაშინ მურმანს, მოწიწებით ქედს მოვიხრი მის წინაშე და მადლობას შევწირავ უფალს მათი გონების განათებისათვის.

მტკიცედ მჯერა, რომ უფალს მურმანი ნათელში ეყოლება მის მიერ გავლილი ამქვეყნიური ცხოვრების გამო.

მაყვალა ვაშაკიძე

ჯონი ჯოჯუას გახსენება

უშენოდ ვეგებებით შენს დაბადების დღეს და იმ ბედნიერ დროს ვიგონებთ, ერთად რომ ვიყავით. ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სპეტაკი სული, ჩვენო ძვირფასო, დაუვიწყარო ადამიანო.

ოჯახი

სამტრედიელი ჯარისკაცები გოგონები იყვნენ ლიდერობენ

2019 წლის 19 მაისს, ბათუმში ჩატარდა აჭარის ღია ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში _ კიოკუშინკაი კარატე მოზარდებსა და ახალგაზრდებს შორის. მასში სომხეთისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქის 210 კარატისტი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სპორტსკოლის კარატეს ჯგუფის წევრები.

სამტრედიელ კარატისტებს თან ახლდნენ სპორტსკოლის დირექტორი ივანე კილტავა და დირექტორის მოადგილე აკაკი დვალიშვილი.

გოგონათა შორის, წონითი კატეგორიების მიხედვით, ჩემპიონის წოდება და პირველი ადგილი მანანა მუქერიამ დაიკავა. მეორე საპრიზო ადგილის მფლობელი კი მარიამ გოგიტაური გახდა.

დაფინანსების შემთხვევაში კიოკუშინკელი გოგონები, 2019 წლის ოქტომბერში, მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში გაიმართება.

სანსეი მიხეილ ქანთარია

სიყვარულო გოგიასა
და
მარი თევზაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, უფლის მადლი და წყალობა გმეგზურობდეთ, წარმატებები დაებედოს თქვენს გზასავალს, იხარეთ და იდღეგრძელეთ, ჩვენო ძვირფასებო!

ოჯახი

დაბადების დღეს გილოცავთ კეთილი სურვილებით. მზიანი, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე დღეები მრავლად გქონოდეთ.

მრავალს დაესწრით!

"სამტრედიის მაცნე"

სამტრედიის ავრარული ბაზრის შესასვლელში, მარჯვენა მხარეს, ფუნქციონირებს მონადირეთა და მეთევზეთა მაღაზია, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ სანადირო და სათევზაო ინვენტარი. ასევე, ცეცხლსასროლი, სასტარტო და პნევმატური თოფები, რევოლვერები და პისტოლეტები საბითუმო ფასებში. შესაძლებელია დაზიანებული ყველა სახის იარაღის აღდგენა-შეკეთება. გაყიდვაშია რეზინის ლაბადები, ჟილეტები, ჩექმები და საწვიმრები. მაღაზია მუშაობს დილის 9 საათიდან საღამოს 17 საათამდე. ტელ.: 577 41 03 24; 593 25 77 26.

ბატონ თამაზ სპირანტს!

უდიდესი პატივისცემით გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს, არ მოგკლებოდეთ პირადი ბედნიერება, მადლიერ პაციენტთა სიმრავლე.

უფალმა გაგაძლიეროთ!

კლინიკა "მედიჰელფის" ადმინისტრაცია
და მედპერსონალი

სახელოვან იუბილეს გილოცავთ, ბატონო თამაზ, იდღეგრძელეთ მრავალთა მხსნელად და ნუგეშად.

ბეჭან გოგია, ლემურ ტრაპაიძე



ნათელა ჯიმშელეიშვილს!

ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, ერუდირებულ და პატივსაცემ ქალბატონს, ნათელა ჯიმშელეიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. გვჯერა, კვლავ წარმატებებით გააგრძელებს აქამდე ღირსეულად მოტანილ პროფესიულ გზას, ბედნიერებად დაებედოს ტკბილ დედასა და ბებიას წუთისოფელში გათენებული ყოველი დილა!

"სამტრედიის მაცნე"

ნანული კიკაბიძეს!

დაბადების დღეს უდიდესი სიყვარულით ვულოცავ საყვარელ ქალბატონს, შესანიშნავ დედას, განსაკუთრებულ ბებიას, თანამშრომელების მოყვარულ და ყველასათვის კეთილ და კარგის მსურველ ადამიანს.

სამსახურებრივი თვალსაზრისით თავისი მოვალეობის წარმატებულ შემსრულებელს. მრავალი ლამაზი წელი შემატოს უფალმა, წყალობდეს და აძლიერებდეს იგი, რასაც ნამდვილად იმსახურებს.

მზევინარ ბოხუა



ნანული კიკაბიძეს!

ვულოცავთ დაბადების დღეს კეთილი სურვილებით, ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, ულევ სიხარულს თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.

ფარავდეს უფალი!

"სახლი თანადგომა"

ალექსანდრე კლარჯეიშვილს!

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ ჩვენი საყვარელი ქალაქის საკეთილდღეოდ.

ბეჭან გოგია, თამაზ ნიკურაძე

მარი არველაძეს!

ჩვენო საყვარელო მარი, გილოცავთ რვა წლის შესრულებას. გისურვებთ ლამაზ და ბედნიერ მომავალს, გაგვახარე შენი ნიჭიერებით და კარგი ქალობით, სულ ია-ვარდით ყოფილიყოს ფენილი შენი გზა-სავალი!

ბეგია და ბაბუა

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე სამტრედიის

დირექტორი	ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი	თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა	მაკა პაპავა